გილოცავთ შობა-ახალ წელს!

# საერთო გაზეთი

№42 (592) • 23 დეკემბერი, 2020წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

## „ნაცების“, „ევროპული საქართველოს“ ლიდერები სისხლის სამართლის დამნაშავეები არიან...

## მტრები





ესენი არ არიან ოპოზიციონერები, ესენი ქვეყნის მტრები არიან!ბარიერგადალახული თახსირებო, ოღონდ თქვენ მოხვიდეთ ხელისუფლებაში და ქართველი ხალხის ამოწყვეტაზეც თანახმა ხართ?

## „არ შეიძლება, ასე არ შეიძლება! თქვენ არ შფოთდებით იმაზე, რაც ემართებათ ჩვენს ოჯახებს“




დღეს თუ ქვეყანაში მშვიდობაა, საქართველო ამ ორ ადამიანს, კელი დეგნანსა და კარლ ჰარცელს, უნდა უმადლოდეს!



## ვისთვის გაისროლა „ავრორამ“ 1917-ში?




რას განასახიერებს ნაძვის ხის კენწეროზე დამაგრებული ვარსკვლავი?

## გენიალური ქალები






მსოფლიოს ქვეყნების საახალწლო პერსონაჟები

## დედამიწა მეხუთე განზომილებაში გადავიდა, იწყება ალმავლობის დიადი ეპოქა



# მტრები

## ესენი არ არიან ოპოზიციონერები, ესენი ქვეყნის მტრები არიან! ბარიერგადალახულო თახსირებო, ოღონდ თქვენ მოხვიდეთ ხელისუფლებაში და ქართველი ხალხის ამოწყვეტაზეც თანახმა ხართ?

ვახტანგ ხარჩილავა:

ყველაფერი ძალიან მარტივადაა — ოპოზიცია, რომელიც პარლამენტში არ შევიდა, ოპოზიცია კი არა, საქართველოსა და ქართველი ხალხის მტერია.

მე კარგად მესმის, რომ უკიდურესად მძიმე ბრალდებაა ეს — არ არის უბრალო საქმე, შენს თანამემამულეებს, შენი სახელმწიფოს მოქალაქეებს ქვეყნის მტერი უწოდო, თუმცა მე კი არა, თვითონ მათ, ამ ოპოზიციის წარმომადგენლებმა შექმნეს ყველა წინაპირობა იმისთვის, რომ მათთვის მტერი გვეწოდებინა.

მათ თვითონ გამოუტანეს საკუთარ თავს ეს განაჩენი. თვითონ, საკუთარი ხელით დაწერეს საკუ-



თარი საბრალდებო დასკვნა და ხელმოწერებით დაადასტურეს, რომ ქვეყნის მტრები არიან.

გამაოგნებელი აღიარებაა, შოკისმომგვრელი ლუსტრაციაა, რომელსაც ძნელია, ლოგიკური ახსნა მოუძებნო.

ნორმალური, საღ ჭკუაზე მყოფი ადამიანი, რომელიც, რაღაც მიზეზების გამო, საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ მიდის და საკუთარ ხალხს მტრობს, ცდილობს, ეს საძრახისი საქმე დამალოს, შენიღბოს, კონსპირაციულად იმოქმედოს, ამათ კი ღიად და დაუფარავად განაცხადეს, რომ, დიახაც, საკუთარი სამშობლოს დაუნდობელი მტრები არიან.

არ არის ეს გასაოცარი ამბავი?

რაშია საქმე — ყველა სიკეთესთან ერთად ესენი ნორმალურებიც არ არიან?

მე მგონი, მათი ეს გამაოგნებელი სქციელი მათი ნორმალურობა-არანორმალურობით კი არა, სულ სხვა, გაცილებით რთული და სერიოზული საიდუმლოთი არის განპირობებული, თუმცა ეს საიდუმლოც იმდენად მარტივად ამოსახსნელი რამ არის, რომ მას საიდუმლო არც ეთქმის.

რა საიდუმლოზეა საუბარი, ამის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ, მანამდე კი კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რას ამბობს ოპოზიცია.

— „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნები გააყალბა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის მაინც არ აპირებს ხელახალი არჩევნების დანიშვნას, რის გამოც ოპოზიცია ბოიკოტს აცხადებს და უარს ამბობს პარლამენტში შესვლაზე. ტყუილად ჰგონია ხელისუფლებას, რომ, რადგან ახალ არჩევნებს არ ნიშნავს, ამით პრობლემა ამოწურულია, წინ გველოდება უმძიმესი ზამთრის თვეები. კორონავირუსის და სხვა ობიექტური მიზეზების გამო გარდაუვალია, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური კრიზისი. მოსახლეობა შიმშილისთვის არის განწირული, გაზაფხულზე ხალხი ქუჩაში გამოვა და „ქართულ ოცნებას“ იძულებულს გახდის, ახალი არჩევნები დანიშნოს. — აი, ასეთია ოპოზიციის ტაქტიკა და სტრატეგია, რომელიც კიდევ ერთი დამატებითი არგუმენტით არის გამყარებული — იმის გამო, რომ ოპოზიცია პარლამენტში არ შედის, ვღებულობთ ერთპარტიულ პარლამენტს, რაც პრობლემებს შეუქმნის „ქართულ ოცნებას“, ეჭვქვეშ დააყენებს მხოლოდ „ქართული ოცნების“ წევრებისგან დაკომპლექტებული ერთპარტიული პარლამენტის ლეგიტიმურობას, რაც, ცხადია, მძიმედ აისახება საქართველოს მომავალ ურთიერთობებზე დემოკრატიულ სამყაროსთან. ყველაფერი ეს ერთად შეკრებილი, სხვა გზას არ უტოვებს „ქართულ ოცნებას“, გარდა ერთისა — დანიშნოს რიგგარეშე არჩევნები, — ასკვნიან ბარიერგადალახული ოპოზიციური პარტიები.

ხომ არაფერი დამიმახინჯებია ოპოზიციონერთა არაერთგზის ხმამაღლა დეკლარირებული მოსაზრებებიდან?

არა, ნამდვილად არა!

იმიტომაც ვთქვი, ესენი ქვეყნის მტრები არიან-მეთქი და ეს შეფასება ზუსტია.

როცა სვავივით ხარ ჩასაფრებული და იმ დროს ელოდები, როცა შენი ხალხი, შენი სამშობლო დაიმშევა, გაღატაკდება, გაუბედურდება და სხვა გზა არ დარჩება, გარდა იმისა, რომ სასოწარკვეთილი ქუჩაში გამოვიდეს, აი, იმ მომენტს რომ ელოდები, მტერი არა ხარ, აბა, რა ხარ?!

შენი გეგმა, შენი „გამარჯვების“ ფორმულა ხომ იმაზეა აგებული, რომ ეკონომიკური კრიზისი გამწვავდეს, ამიტომ ნათელია, ცხადზე ცხადია, შენ, ოპოზიცია, იმისთვის კი არ იბრძოლებ, რომ ქვეყანას როგორმე წაეხმარო, არამედ ყველაფერს გააკეთებ იმისთვის, რომ კრიზისი კიდევ უფრო გაღრმავდეს და ქვეყანაში აუტანელი, კატასტროფული სიტუაცია შეიქმნას, რომ ამით ისარგებლო და ხელისუფლებაში მოხვიდე.

როცა ეს გაქვს ჩაფიქრებული, როცა ასეთი გეგმა გაქვს შემუშავებული, მტერი ხარ, აბა, რა ხარ?!

თუმცა სიტყვა „მტერი“ ზუსტად ვერ გამოხატავს იმ სათქმელს, რასაც ეს ოპოზიცია იმსახურებს.

**მტერი, რომელსაც ღირსების გრძნობა აქვს, ისეთი სულმდაბლური საქციელის ჩადენას არ იკადრებს, როგორსაც ეს „ჩვენებური“ ოპოზიცია კადრულობს.**

**მტრებზე უარესი მტრები არიან ესენი, დაუნდობლები, ეგოისტები, უტიფრები, უსირცხვილოები, რომლებიც დემოკრატიაზე და თავისუფლებაზე ბრტყელ-ბრტყელი ფრაზებით ლაპარაკობენ, ამ დროს კი სააკაშვილის ჟურმოჭრილი მონები არიან.**



სააკაშვილი თავად არის მონა, რომელსაც ძლიერნი ამა სოფლისანი სხვადასხვა დაკვეთების შესასრულებლად აღმა-დაღმა დაარბენინებენ, ესენი კი მონის მონები არიან.

ქართველ ამომრჩეველთა ერთმა ნაწილმა, რომელსაც რაღაც მიზეზების გამო „ქართული ოცნება“ არ მოსწონდა, მაგრამ, ამასთან ერთად, მისთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო „ნაცმოძრაობა“, ხმა სხვადასხვა პარტიებს მისცა — ზოგმა „ლელოს“, ზოგმა — „გირჩს“, ზოგმა — „ევროპულ საქართველოს“, ზოგმა — „მოქალაქეს“, ზოგმაც — „სტრატეგია „აღმაშენებელს“, მაგრამ მალევე გაირკვა, რომ სულ ტყუილად გაისარჯა — აღმოჩნდა, რომ მათ მიერ ცვლილებების იმედით არჩეული პარტიები „ნაცმოძრაობას“ ექვემდებარებოდნენ და მის დირექტივებს ემორჩილებოდნენ.

ხომ გახსოვთ, თავიდან როგორ მკვეთრად ემიჯნებოდა აფერისტი ხაზარაძე სააკაშვილს? ბოკერიას და უგულავას, იგივე გიორგი ვაშაძის ხისტი განცხადებებიც ხომ გახსოვთ სააკაშვილის და „ნაცმოძრაობის“ მისამართით?

მათ ამომრჩეველმა ხმა მისცა, როგორც „ნაცმოძრაობის“ ალტერნატიულ ძალას, მაგრამ, როგორც ვთქვით, სულ მალე ცხადი გახდა, რომ ისინი მწარედ მოატყუეს.

**არჩევნები მოგვპარესო, რომ ბრძანებენ ეს ვაჟბატონები, „ქართულმა ოცნებამ“ კი არა, სწორედ ამ პოლიტაფერისტებმა მოპარეს არჩევნები თავიანთ ამომრჩეველს, თვალში ნაცარი შეაყარეს, გააბითურეს, შეურაცხყოფა მიაყენეს.**

**მე რომ ხელისუფლება ვიყო, მართლაც დავნიშნავდი რიგგარეშე არჩევნებს და ვნახავდი, რა ხმებსაც მიიღებდნენ ეს კლოუნები მათ მიერ ერთხელ უკვე მოტყუებული მხარდამჭერებისგან.**



„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.



ეკონომიკური კრიზისის გაღრმავებას და ქვეყნის ჩამოქცევას ელოდებიან ეს ლეშზე დაგეშილი სვავები-მეთქი, ვთქვი ზემოთ.

ისინი ვერ ხვდებიან და ვერ აცნობიერებენ, რომ ამგვარი განცხადებებით საკუთარ ამომრჩევლებსაც უპირისპირდებიან და მათაც წირავენ სასიკვდილოდ.

ეკონომიკური კრიზისი მხოლოდ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს შეეხება და ოპოზიციის მხარდამჭერებს არ შეეხება, თუ რაშია საქმე?

„ქართული ოცნების“ მხარდამჭერები სხვა ქვეყანაში ცხოვრობენ და ოპოზიციის მხარდამჭერები სხვა ქვეყანაში ცხოვრობენ?

რა თქმა უნდა, არა!

ასე რომ, ეს **უბადრუკი და ცალტვინა ოპოზიცია მთელ ქვეყანას უცხადებს ომს, ქვეყნის მთელ მოსახლეობას, „თავისიანებსაც“ და „სხვისიანებსაც“ ერთნაირად წირავს უბედურებისთვის.**

მიკვირს, ძალიან მიკვირს, ჩვენი მრავალრიცხოვანი ექსპერტთა, ანალიტიკოსთა, პოლიტოლოგთა მთელი ლაშქარი სწორედ ამ კუთხით რატომ არ შიფრავს, რატომ არ აანალიზებს შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას და რატომ არავინ ცდილობს, ადამიანებს აუხსნას და დაანახოს, რა მახინჯია, სინამდვილეში, გარედან ფერად-ფერადი ფალასფულასით შეფუთული და შენიღბული ამ ვაიოპოზიციის ზრახვები?

●

არსებობს კითხვები, რომლებზე პასუხი ძალიან აინტერესებს ჩვენს საზოგადოებას, მაგრამ ჯერჯერობით ეს პასუხები არ ჩანს.

კითხვა პირველი — ვინ აფინანსებს ამ ოპოზიციას, ვინ იხდის იმ კოლოსალურ ხარჯებს, რაც ამათ საარჩევნო კამპანიას სჭირდება?

ხომ არავისთვის არის საიდუმლო, რომ ამ არჩევნებში ოპოზიციამ უზარმაზარი თანხები დახარჯა?

ხომ ყველამ ვიცით, რომ ოპოზიცია ამ არჩევნებში ორჯერ მეტ ფულს უხდიდა თავის კოორდინატორებს თუ კომისიის წევრებს, ვიდრე „ქართული ოცნება“?

ისიც ხომ ყველამ შესანიშნავად ვიცით, რომ ამ მრავალრიცხოვანი მიტინგების მონაწილეებს 50–70 ლარს უხდიდნენ.

ადამიანები პროფესიონალ მომიტინგეებად ჩამოყალიბდნენ და მიტინგებზე, როგორც სამსახურში, ისე დადიოდნენ.

— რატომაც არა, თვეში 500–600 ლარი გამომდის და ჩემთვის, უმუშევარი კაცისთვის, ეს საკმაოდ სერიოზული თანხაა, — მითხრა ერთხელ „ნაცმოძრაობის“ „შტატიანმა“ მომიტინგემ და ამის შესახებ დავწერე კიდევაც.

მომიტინგეების, ადმინისტრაციის, აქტივისტების შენახვის გარდა, სხვა უამრავი ხარჯია, რომელსაც მილიონები სჭირდება.

ვინ იხდის ამ ფულს?

ასე, მაგალითად, ვინ უხდის ფულს შალვა ნათელაშვილს, რომელიც ბოლო ხანებში ისეთი ბედნიერი და გაბადრული დადის, აშკარაა, დიდი „მაყუთი“ იშოვა.

ვინ იხდის ამ ფულს?

ვინ იხდის და, სააკაშვილიო, — ამბობენ.

არ მჯერა!

სააკაშვილი ისეთი წუწურაქია, საკუთარი სიამოვნებისთვისაც კი ვერ იმეტებდა საკუთარ ფულს და ბიუჯეტის ხარჯზე „ჟიმაობდა“ (უკაცრავად გამოთქმისთვის) კახპებთან.

მერაბიშვილი ამ ხარჯებს მიშას „სირის გადასახადს“ (კიდევ უკაცრავად) ეძახდა.

აი, ასეთი კაცი გარისკავს და საკუთარ მილიონებს დახარჯავს პოლიტიკური ბატალიების დასაფინანსებლად, რომელიც, არავინ იცის, რით დამთავრდება?

ისიც ხომ ცნობილია, რომ მიშას ფული არ აქვს და დედის კმაყოფაზეა საწყალი.

აბა, ვინ იხდის ამ ფულს?

წარმოუდგენელია, გამორიცხულია, რომელიმე დასავლური სახელმწიფო აფინანსებდეს საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ ამ სპეცოპერაციას კოდური სახელწოდებით „არჩევნები გაყალბდა“! რომელიც, ფაქტობრივად, სახელმწიფო გადატრიალებას და ხელისუფლების მიტაცებას ისახავს მიზნად.

მიშა არა! დასავლეთი არა! აბა, ვინ დარჩა?

ვინ დარჩა და დარჩა ის, ვისაც ყველაზე მეტად აწყობს საქართველოში დესტაბილიზაცია, ქაოსი, სამოქალაქო დაპირისპირება, რომ ამით ისარგებლოს და ერთხელ და სამუდამოდ დაამყაროს სრული კონტროლი მთელ ქვეყანაზე, რითაც, ფაქტობრივად, თავისი გავლენის ქვეშ მოაქცევს არა მარტო საქართველოს, არამედ კავკასიის მთელ რეგიონს.

**შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სააკაშვილი რუსეთის დაკვეთას ასრულებდა, ხოლო ბარიერგადალახული ოპოზიციური პარტიები დღიურ მუშებად ჰყავდა დაქირავებული.**

სააკაშვილს არც დაუმალავს, რომ ის განხიბლული იყო დასავლეთით და მისი აზრით, საქართველოსთან მიმართებაში დასავლეთის პოლიტიკა კოლონიალურ ხასიათს ატარებდა. არჩევნების დაწყებამდე კარგა ხნით ადრე მან მსგავსი შინაარსის განცხადებები არაერთხელ გააკეთა, ხოლო მას შემდეგ, რაც აშშ-ისა და ევროკავშირის ელჩები მოლაპარაკებებში ჩაერთვნენ, მათ წინააღმდეგ, ფაქტობრივად, ღიად ამუშავდა „ნაცმოძრაობის“ პროპაგანდისტული მანქანა — ტელეკომპანია „მთავარის“ მეთაურობით და ელჩებს ლანძღვა-გინების კორიანტელი დაატეხეს თავს.

**ფაქტია, როცა ელჩებს უცხადებ ომს, ომს უცხადებ იმ სახელმწიფოებსაც, რომლებსაც ეს ელჩები წარმოადგენენ.**

შეხვედრების ოთხი რაუნდი გაიმართა აშშ-ისა და ევროკავშირის ელჩების მონაწილეობით, მაგრამ არც ერთ ამ რაუნდს შედეგები არ მოჰყოლია.

ელჩების წინადადებას, ბარიერგადალახული პარტიები შესულიყვნენ პარლამენტში და იქიდან გაეგრძელებინად მუშაობა პრობლემების მოსაგვარებლად, ოპოზიცია კატეგორიული უარით შეხვდა.

უფრო მეტიც, თითოეული ამ რაუნდის დასრულების შემდეგ ოპოზიციური პარტიების ლიდერები ხაზგასმით აცხადებდნენ, რომ ისინი უკან არ დაიხევენ, რომ მათი ერთიანობა ურყევია და ამ ელჩების შემოთავაზებები მათთვის არაფერს ნიშნავს.

ამ განცხადებებით თითქოს ვიღაც უხილავ უფროსს აბარებდნენ ანგარიშს ოპოზიციის ლიდერები.

ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ეს უხილავი უფროსი? სააკაშვილი?

ალბათ, სააკაშვილიც, მაგრამ მის გარდა ოპოზიციის ამ ურყევ პოზიციაში აშკარად იკვეთებოდა სხვა ძალაც, რომელიც მთელ ამ პროცესს წარმართავდა და დისტანციურად ხელმძღვანელობდა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ძალა რუსეთია, რომელიც სააკაშვილის და ოპოზიციის პირით აშშ-სა და ევროკავშირს მიანიშნებს, რომ აქ, საქართველოში, ისე, როგორც დანარჩენ კავკასიაში, სიტუაციას ის აკონტროლებს და არა აშშ და ევროკავშირი. ის არის აქ უფროსი და მის გარეშე არაფერი გადაწყდება.

**ადრეც ვთქვი და, მე მგონია, სწორად ვთქვი: ამ ჩვენმა „გულადმა“ და „პრინციპულმა“ ოპოზიციონერებმა, მართალია, აშშ და ევროკავშირი ფეხებზე დაიკიდეს, მაგრამ ერთი მოსკოვიდან უბრძანონ, შედით პარლამენტშიო, ეგრევე კისრისტეხით შეცვივდებიან შიგ.**

ის, რაც ამ მოლაპარაკებებზე ხდება, რუსეთის მხრიდან გაჟღერებული ღია მესიჯია საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლებისადმი — სულ ტყუილად გაქვთ აშშ-სა და ევროკავშირის იმედი. ვერც ერთი დაგეხმარებათ და ვერც — მეორე. ამიტომაც ჩემსკენ მოტრიალდით, თუ გინდათ, რომ ძალაუფლება შეინარჩუნოთ, თუ არა და...

თუ არადა, მიიღებთ რევოლუციას, როგორც არაერთხელ მიიღეთ — ასე იშიფრება ეს ქვეტექსტი, რომელიც თვენახევარია ამ მოლაპარაკებების მიღმა იკითხება.

— ნუ გეშინიათ, რევოლუცია კი იქნება, მაგრამ ეს იქნება მშვიდობიანი რევოლუცია, — გვამშვიდებს ნიკანორ მელია, რომელიც თავისი საქციელებით ძველ ბიჭს, უფრო ზუსტად, ხულიგანს უფრო ჰგავს, ვიდრე პოლიტიკოსს.



რას ნიშნავს ეს „მშვიდობიანი რევოლუცია“, გასულ კვირას შალვას ფანჩატურიდან გამოსული „რევოლუციონერი“ პოლიტიკოსები სხაპასხუპით რომ აანონსებდნენ?

— რას ნიშნავს და, ქუჩაში გასვლას და მოქალაქეთა მშვიდობიან პროტესტს, დემონსტრაციებს, მანიფესტაციებს, მიტინგებს, რომ ხელისუფლება ვაიძულოთ, ახალი არჩევნები დანიშნოსო, — ასე განმარტავდნენ მშვიდობიანი რევოლუციის იდეას შალიკოს ფანჩატურში შეკრებილი სააკაშვილის მაყრიონის წევრები.

მივმართავ ამ პროვოკაციული და ავანტურისტული იდეის ავტორებს, ამ ე.წ. პოლიტიკოსებს: რა გინდათ თქვენ, მთელი საქართველოს ამოწყვეტა გინდათ? ასე დაგავალათ, ასეთი შეკვეთა მოგცათ თქვენმა პატრონმა? რა ხალხმრავალ მიტინგებზე და აქციებზე ლაპარაკობთ თქვენ, თქვენ ქვეყნის გამყიდველებო, ვერ ხედავთ, ქვეყანაში კორონაეპიდემია რომ მძვინვარებს? 9 საათის შემდეგ ქუჩაში გასვლის გამო 2000 ლარით აჯარიუმებენ ადამიანებს, თქვენ კიდევ ათასობით და ათიათასობით ადამიანის ერთად შეკრებას აპირებთ, რომ ვირუსის გავრცელებამ ისეთი მასშტაბური ხასიათი მიიღოს, რომ მისი შეჩერება შეუძლებელი გახდეს.

ოღონდ თქვენ ხელისუფლებაში მოხვიდეთ და ქვეყნის ამოწყვეტა გაქვთ გადაწყვეტილი?

მიმიფურთხებია თქვენი პოლიტიკისთვის და თქვენი პოლიტიკოსობისთვის, მიმიფურთხებია თქვენი ფსევდოპატრიოტობისთვის, მიმიფურთხებია თქვენი ფსევდოქართველობისთვის.

თუ ასე გააგრძელებთ, საქართველო აუცილებლად შეგაჩვენებთ და უკუნითი უკუნისამდე დაგწყევლით.

●

როგორც წერილის დასაწყისში ვთქვი, ეს არ არის ოპოზიცია, ეს არის საქართველოსა და ქართველი ხალხის წინააღმდეგ დარაზმული მტერი, მტერს კი ისე უნდა მოექცე, როგორც მტერს უნდა ექცეოდე.

ამიტომაც აბსოლუტურად სწორი მგონია ის ნაბიჯები, რომლებსაც ხელისუფლება ამ ოპოზიციის იარლიყით შენიღბული მტრის სახიფათო ქმედებების აღსაკვეთად დგამს.

ცხადია, გამოჩნდებიან ძალები ქვეყნის შიგნით თუ ქვეყნის გარეთ, რომლებიც ხელისუფლების ამ მკვეთრ გადაწყვეტილებებს სიტყვის თავისუფლების, გამოხატვის თავისუფლების, დემოკრატიული ღირებულებების შეზღუდვად მონათლავენ, თუმცა, სინამდვილეში, „ქართულ ოცნებას“ არავინ და არაფერი შეუძლუდავს — ის ცდილობს, მტერს ხელები დაუმოკლოს და ქვეყანას დიდი უბედურება აარიდოს თავიდან.

ეს არის და ეს!

**მინაწერი: ბოლო ერთი კვირაა ბარიერგადალახული პარტიების ერთი ნაწილი, თითქოსდა, გამოფხიზლებას იწყებს და რევოლუციის და ამბოხის მქადაგებელი „ნაცმოძრაობისა“ და მისი პოლიტიკური ნაბიჭვრის „ევროპული საქართველოსგან“ დისტანცირებას ცდილობს.**

**— ჩვენ ვემიჯნებით ყოველგვარ რევოლუციას და არავითარ შემთხვევაში არ მივიღებთ მონაწილეობას დესტრუქციულ პროცესებში, — აცხადებენ ამ პარტიების ლიდერები, თუმცა, ჯერჯერობით, არც იმ მოთხოვნებზე ამბობენ უარს, რომლითაც დაიწყო ბოიკოტის თვენახევრიანი ეტაპი.**

**ერთია განცხადებები, მაგრამ ამ განცხადებებს კონკრეტული ნაბიჯები არ მოჰყვა და ეს პარტიები პარლამენტში თუ არ შევიდნენ, მათი განცხადებების მიუხედავად, ისინი მაინც იქ დარჩებიან, საიდანაც დღეს გამოქცევას ცდილობენ — „ნაცმოძრაობის“ ქოლგის ქვეშ.**

**რამდენიმე დღე და გაირკვევა, ეყოფათ თუ არა ამ პარტიებს გონიერება, წინდახედულება, გამბედაობა, რომ იმ წუმპედან ამოვიდნენ, სადაც ისინი „ნაცმოძრაობამ“ შეიტყუა.**

**ვ.ხ.**

# „ნაცმოძრაობის“ და „ევროპული საქართველოს“ ლიდერები სისხლის სამართლის დამნაშავეები არიან, რომლებიც საქართველოს წინააღმდეგ დაგეგმილ შეთქმულებაში მონაწილეობენ



*გვესაუბრება მწერალი მერაბ შათირიშვილი:*

**— ბატონო მერაბ, კობახიძემ ოპოზიციის ბოიკოტს საპარლამენტო საბოტაჟი უწოდა, რაც სახელმწიფოს და დემოკრატიული ინსტიტუტების წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა. როგორ უყურებთ მიმდინარე პროცესებს?**

— დიახ, კობახიძემ ოპოზიციის საქციელს საბოტაჟი უწოდა, მაგრამ მის ადგილას, უფრო შორს წავიდოდი. დასაბუთებით ცოტა ადამიანი საუბრობს იმაზე თუ სინამდვილეში, საიდან, რა ძალები მართავენ ამ პროცესს. საქართველოში არ არსებობს პოლიტიკური პარტია, რომელიც რომელიმე მსოფლიო ძლიერი პოლიტიკური ძალების ზეგავლენას არ განიცდიდეს. დღემდე გვეგონა, რომ ე.წ. ოპოზიცია ლიბერალური ძალა იყო. პრინციპში, მათი იდეოლოგია პრო-დასავლური გახლდათ. ხელისუფლებაც ამბობს, რომ პრო-დასავლური ორიენტაცია აქვს. იკვეთება შემდეგი მყარი აზრი: თქვენს რედაქტორთან ხშირად მაქვს სატელეფონო საუბრები და ჩვენ ორივე ერთ აზრზე ვართ. მოგახსენებთ, რას ვგულისხმობ: ის რაც საქართველოში ხდება, შემთხვევითი არ არის. დავაკვირდეთ 2003–2004 წლების მოვლენებს და გავიხსენოთ: „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში მოსვლამდე თბილისს რუსეთიდან ივანოვი ესტუმრა. ფაქტობრივად, „ნაცმოძრაობამ“ ხელისუფლება მისი ჩამოსვლის შემდეგ გადაიბარა. მას მერე, ეს ძალა, პრო-დასავლურ თამაშს თამაშობს. აქვე, გავიხსენოთ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი. აპრიორში შედეგი მივიღეთ ის, რომ კოდორის ხეობა ტყვიის გაუსროლელად დავკარგეთ და ამას დაემატა საქართველოს ტერიტორიის 20%. ჩვენს ტერიტორიას რუსეთი აკონტროლებს მაშინ, როცა 2008 წელს იგი გვევლინებოდა როგორც გაეროს მიერ სტატუსმინიჭებული შუამავალი ძალა, თუმცა, დღეს, აგრესორად იქცა. ახლა, შევხედოთ რა ხდება ამ ეტაპზე: ჩატარდა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები. ყველა დასავლური ორგანიზაცია — გაეროს, ეუთოს, ევროსაბჭოს წარმომადგენლები, ამერიკის ელჩი ე.წ. პრო-დასავლური იდეოლოგიის გამტარებლებსა და ფუნდამენტალისტებს მოუწოდებენ პარლამენტში შევიდნენ. აღნიშნულ არჩევნებზე ნამდვილად არ ჰქონია ადგილი ისეთ დარღვევებს, რომ მისი ლეგიტიმურობა ვინმეს ეჭვქვეშ დაეყენებინა. მაშინ, რა ხდება, რას ნიშნავს ეს ბოიკოტი? „ქართულმა ოცნებამ“ ამ მოვლენას საბოტაჟი უწოდა და ასეც არის. ეს არ გახლავთ ბოიკოტი ან პოლიტიკურად გამართლებული დაპირისპირება. ოპოზიციამ საკუთარი თავის გამომჟღავნება დაიწყო. ხომ ხედავთ, ამერიკის ელჩის, ევროსაბჭოს წარმომადგენლების ლანძღვა-გინება ღიად დაიწყეს. აქ კითხვის ნიშანიც არ არის იმაზე, რომ ეს პრო-რუსული თამაშია. რატომ? — გავიხსენოთ, რას ამბობენ ოპოზიციონერები. მათ, მაგალითად მოჰყავთ ბელორუსის მოვლენები. რა მოხდა იქ, სინამდვილეში? — ხელისუფლებასთან პრო-დასავლური ძალების დაპირისპირება ყველაზე მეტად რუსეთმა გამოიყენა და ფაქტობრივად, ლუკაშენკოს სიჯიუტე გატეხა. რუსეთს აქვს ასეთი მიდგომა — თავად, პრო-დასავლური ძალებით მოგახედებთ ჩვენსკენ, გაგტეხავთ წელში და ა.შ. ზუსტად, იგივე თამაში მიდის საქართველოში. ვიცით, რაც მოხდა ყარაბაღში, ასევე, აზერბაიჯანისა და სასომხეთის თემა, რუსეთის ზეგავლენა ამ ორ ქვეყანაზე. ამ ფონზე, თქვენ გგონიათ, გორს 500 მეტრი რომ აშორებს, მხოლოდ ამას დასჯერდება? — არა, ბატონებო! ეს გახლავთ წმინდა რუსული თამაში. დიახ, ჩვენი ე.წ. ოპოზიცია რუსეთის მიერ არის მართული. თქვენ ხომ არ გგონიათ, რომ მათ ხელისუფლებაში მოსვლის სჯერათ. არა, მშვენივრად იციან, რომ ხელისუფლებაში ვერ მოვლენ და ვერანაირი არჩევნებით ვერ გაიმარჯვებენ. ამიტომ, „ბრმად“ ასრულებენ რუსეთის თამაშს, რათა ქვეყანაში იყოს დაძაბულობა, არეულობა. მათი მისია ამით არის ამოწურული. სხვა შანსი მათ არ აქვთ.

**— თქვენ, აღნიშნეთ, ელჩებს უკვე ღიად ესხმიან თავსო. მეხუთე კოლონა ხელახალ არჩევნებს ითხოვს. საერთოდ, რატომ არის ვადამდელი არჩევნების დანიშვნა მოლაპარაკების საგანი?**

— ადრეც, მთელი პასუხისმგებლობით ვამბობდი, რომ 2020 წელს დადგება დრო, როცა „ქართული ოცნება“ მარტო აღმოჩნდება და აბსოლუტურად ყველა, ვინც ხალხს ეგონა რომ იდეოლოგიურად ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა, მის წინააღმდეგ გაერთიანდება-მეთქი. ვამბობდი იმასაც, რომ ეს სუბიექტები, სწორედ, არჩევნების გაყალბების მოტივით გაერთიანდებოდნენ. ასეც მოხდა, მათ, დღეს, ეს ფორმულა აერთიანებთ. წარმოიდგინეთ, ახლა, ვინმესთან შსს-დან ჯგუფი მივიდეს და უთხრას: დაპატიმრებული ხართ იმიტომ, რომ თქვენს სახლში ატომური ბომბი ინახებაო და პატრონი სახლიდან ისე წაიყვანონ, რომ ჩხრეკა არ ჩაატარონ. გამოდის, ბრალდებას ისე უყენებენ პირს, რომ არც უმტკიცებენ. ახლა, შევხედოთ როგორ იქცევა ეს უმსგავსო ოპოზიცია. მათი ტელევიზიები გაიძახიან: არჩევნები გაყალბდაო, მაგრამ ფაქტს არ დებენ. „ქართული ოცნება“ ეუბნება: დადეთ ფაქტი და უკან დავიხევთო. აქ, არის მეორე ვარიანტიც, რაც ნიშანდობლივი და გასათვალისწინებელია: „ქართული ოცნება“ ე.წ. ოპოზიციას ყველანაირად უწყობს ხელს, რათა ისინი ჩიხში შევიდნენ. ესენიც ბრიყვები არიან და ამ ჩიხში შედიან. რატომ არ შედიან პარლამენტში? — იმიტომ, რომ ეს დემოკრატიული პროცესი იქნება, რაც რუსეთს საქართველოში არ აწყობს. მას ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური ქაოსი აწყობს და სწორედ ამის შემსრულებლები არიან ჩვენი ე.წ. ოპოზიციონერები. ეს საშიში ადამიანებისგან შემდგარი ჯგუფია, რაც საქართველოს მომავლისთვის დამღუპველია. ქართველმა ერმა ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ასეთი გაერთიანება პოლიტიკური ველიდან გაიყვანოს და დაასამაროს. თუ დავუკვირდებით, პოლიტიკურად, მმართველი ძალა სწორად იქცევა, ოპოზიცია კი ბრიყვია. მიუხედავად იმისა, რომ რუსულ თამაშს არიან აყოლილნი და შეიძლება შეგნებულიც არ აქვთ რას აკეთებენ, წარმოიდგინეთ, ბრიყვნიც არიან — ვერ გაუაზრებიათ, რომ „ქართული ოცნება“ მათ სწორედ აქეთკენ უბიძგებს, რათა მისი გადარჩენის შანსი, სწორედ, ოპოზიციის პარლამენტში არშესვლაა. გესმით რას ვამბობ?! „ქართული ოცნება“ პოლიტიკურად სწორად იქცევა. ძალიან მალე აკადემიურ, პოლიტიკურ ველზე ახალი ძალები გამოჩნდებიან, ხოლო ეს ოპოზიცია დარჩება იმ 9 მოცემულობის პარტიის წრეში, სადაც არაფერი გამოვა, შეიძლება ერთმანეთს დაერიონ, რისი მაგალითებიც უკვე გვაქვს კიდეც. იქაც, განხეთქილებაა. ასე, რომ რეზიუმეს სახით რომ ვთქვა: ეს არ არის ბოიკოტი, ეს არის ანტისახელმ-



წიფოებრივი შეთქმულება. ეს არ არის პოლიტიკა, ეს არის ყაჩაღობა. ეს არ არის ამომრჩევლის დაფასება. მე, მერაბ შათირიშვილი ყველას, ვინც მათ ხმა მისცა, მოვუწოდებ: კარგად დაფიქრდნენ, რაოდენ უღირს ადამიანებს მისცეს ხმა. განა იმიტომ, რომ პოლიტიკურად მიუღებელნი არიან, არამედ იმის გამო, რომ ანტისახელმწიფოებრივ, ანტიქართულ ქმედებას ახორციელებენ.

მათ იციან, რომ პარლამენტში არის დემოკრატიული პროცესი. კი, შეიძლება ერთმანეთს დაერიონ, იჩხუბონ, მაგრამ ეს დემოკრატიული სივრცეა და ამის მიღმა ვერ აღმოჩნდებიან. მათ, ეს არ აწყობთ. ეს გახლავთ სახელმწიფოებრიობის, ხვალინდელი დღის და მომავლის დისკრედიტაცია და სწორედ, ამ როლს ასრულებენ. რასაც მე ვამბობ, ეს მხოლოდ ემოციური სიტყვები არ არის. ქართველმა ერმა, მათ, დიდი მსჯავრი უნდა გამოუტანოს და საერთოდ, გაისტუმროს ისინი პოლიტიკური ველიდან. მათ უფლება არ უნდა ჰქონდეთ ქართული პოლიტიკური, საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლაში მონაწილეობა მიიღონ. იმიტომ, რომ სიავის და უარყოფითის მეტს ქვეყანას არაფერს მოუტანენ. უშიშროების სამსახურებს აქვთ ასეთი მეთოდი — გაკეთებინებენ იმას, რაც მათ სურთ. შენ, შეიძლება, საერთოდ არ იცი, ხელი არ მოგიწერია იმაზე, რაც მათ სურთ, არ მოლაპარაკებიხარ, რომ ქვეყნის მოღალატე გახდები, არ შეთანხმებულხარ, ხელშეკრულება არ გაგიფორმებია, მაგრამ ისეთ პირობებს გიქმნიან და ისეთ კალაპოტში გაგდებენ, რომ აკეთებ იმას, რასაც ისინი ქვეცნობიერად გკარნახობენ. ეს ე.წ. ოპოზიცია ზუსტად იმას აკეთებს, რასაც რუსეთი კარნახობს. ამას მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ.

**— ოპოზიცია ერთპარტიულ პარლამენტზე ქირქილებს და გაზაფხულიდან აქციების მოწყობით იმუქრება. სადამდე შეიძლება ასე ქვეყანა მივიდეს, რა აზრის ხართ ვადამდელ არჩევნებზე?**

— ძალიან კარგი შეკითხვაა. ამაზე, ერთგვარ ანალიზს გავაკეთებ: ჩემთვის საპატივცემულოა „ეროვნული მოძრაობის“ ყველა წარმომადგენელი, ბევრთან ძალიან თბილი და კარგი დამოკიდებულება მაქვს. ისინიც დამეთანხმებიან, რომ „ეროვნულ მოძრაობაში“ ჩამოყალიბდა შემდეგი აზროვნება: გაჩდნენ პერსონები, რომელთა გონებაში გარკვეული გარდატეხა მოხდა და გაიძახიან: გამსახურდია ცოცხალია და მოვაო. თქვენ, შეიძლება არ იცით, მაგრამ „ნაცმოძრაობის“ მომხრეებშიც ზუსტად ანალოგიური, ფსიქოლოგიური ტენდენციები ყალიბდება. „ნაცების“ მომხრეების გარკვეული ნაწილი ამბობს: აშშ-მ პრეზიდენტად ჩვენი მომხრე ბაიდენი აირჩია. იგი ჩვენი კაცია და პრეზიდენტი რომ გახდება, აქ, ზაფხულში მიტინგები აზვირთდება, ბაიდენი „ქართულ ოცნებას“ ხელისუფლებიდან გაუშვებს და მიშას მოიყვანსო. ხვდე-



# დღეს თუ ქვეყანაში მშვიდობაა, საქართველო ორ ადამიანს, კელი დეგნანსა და კარლ ჰარცელს, უნდა უმადლოდეს!



კელი დეგნანი: **ამერიკელი დიპლომატი, აშშ-ს ელჩი საქართველოში. მუშაობდა აშშ-ის საზღვაო ძალების ევროპის ხელმძღვანელობის პოლიტიკურ მრჩეველად, იყო იტალიაში აშშ-ის მისიის ხელმძღვანელის მოადგილე და სახელმწიფო დეპარტამენტის აღმასრულებელი მდივნის მოადგილე. კოსოვოში გახლდათ აშშ-ის მისიის ხელმძღვანელის მოადგილე. 2019 წლის 4 სექტემბერს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა საქართველოში აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე წარადგინა.**

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ამ ოცდაათი წლის განმავლობაში, საქართველოში დიპლომატიური კორპუსის ბევრ წარმომადგენელს უმოღვაწია, რომელთა საქმიანობას დადებითი გავლენა მოუხდენია ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

სამწუხაროდ, ქართველმა ხალხმა ცოტა რამ იცის ამ ადამიანების მიერ გაწეული უზარმაზარი შრომისა და ღვაწლის შესახებ, რომელიც დიპლომატიური საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხშირად უჩინარი და უხილავია ფართო საზოგადოებისთვის.

საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე რთული და წინააღმდეგობებით სავსე გზა გამოიარა.

იმ დაბრკოლებების გადალახვა, რაც მას ამ გზაზე ხვდებოდა, ძალიან ძნელი, თითქმის შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა იმ სახელმწიფოების და მათი ელჩების თანადგომა, რომლებიც ძნელბედობის ჟამს ქართველ ხალხს ერთგულად ედგნენ გვერდით.

ისინი საქართველოსგან დიდ მადლობას იმსახურებენ.

განსაკუთრებული მადლობა აშშ-ის ელჩს საქართველოში, ქალბატონ კელი დეგნანს და ევროკავშირის ელჩს, ბატონ კარლ ჰარცელს.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ, თუ დღეს საქართველოში მშვიდობაა, ეს ამ ორი ადამიანის, კელი დეგნანისა და კარლ ჰარცელის დამსახურებაა.

მისასალმებელია, რომ მათ ყველაფერზე მაღლა ცალკეული პოლიტიკური ორგანიზაციების კი არა, საქართველოს სახელმწიფო ინტერესები დააყენეს და პრინციპულად და უშიშრად დაიცვეს ის ღირებულებები, რის გარეშეც სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობა შეუძლებელია.

მათ ბოლომდე იბრძოლეს საქართველოსთვის, იბრძოლეს ისე, როგორც პატრიოტმა ადამიანმა შეიძლება იბრძოლოს საკუთარი სამშობლოსთვის.

„საერთო გაზეთის“ და მისი მკითხველების სახელით დამდეგ შობა-ახალ წელს ვულოცავთ ამ შესანიშნავ ადამიანებს და წარმატებებს, ბედნიერებასა და ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებთ!

„საერთო გაზეთი“



კარლ ჰარცელი: **საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ელჩი. 1999-2005 წლებში იყო ევროკავშირის საბჭოს გენერალური მდივნის ხავიერ სოლანას კაბინეტის ევროკავშირის პოლიტიკის განყოფილების წევრი. 2005-2011 წლებში იყო საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი, ევროკავშირის პოლიტიკისა და უსაფრთხოების კომიტეტში. 2013-2014 წლებში ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის გენერალური მდივნის მოადგილის უფროსი მრჩეველია. 2018 წლიდან არის საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ელჩი.**



ბით, სად ვართ? რა პრიმიტიულ, ფსიქოლოგიურ პოლიტიკურ ნებაზე დაიყვანეს ქართული ოპოზიციური ფლაგმანის აზროვნება?! ჯერ ერთი, სად ტკივა ბაიდენს საქართველო? ესენი შემდეგ იდეოლოგიას ავითარებენ: ბაიდენი ჩვენი კაცია და ზაფხულში ხელისუფლებას ამოვაყირავებთო. ეს სასაცილოა, ავადმყოფობაა. ამ კუთხეში მიბჯენილ პოლიტიკოსებს, ეს, საბოლოოდ, დაასამარებს. დიახ, ვფიქრობ, თუ ისინი გონს არ მოეგებიან, დასამარდებიან. ქართველი ერი რუსთაველის გამზირის გადაწვას აღარ დაუშვებს. შანსი არაა დაპირისპირება ხელახლა გააღვივონ. რატომ არ ფიქრობენ იმას, რომ ქართველი ერი გამოვა და „ნაცმოძრაობას“ — 2012 წლამდე არსებული ხელისუფლების ყველა წევრს, ვინც ქართველ ერს ჯოჯოხეთი დაუტრიალა, ბოძებზე ჩლიქებით ჩამოკიდებენ. ძალიან საშიში პროცესები წავა, რაც მათ კარგად იციან. მაგრამ კიდევ გეუბნებით: ისინი, მიუღწეველ, განუხორციელებელ პოლიტიკურ თამაშს თამაშობენ და ამას აკეთებენ ბნელი ძალის — რუსეთის სასარგებლოდ. აბა, გეკითხებით, ისინი რომ პრო-დასავლური ძალა იყვნენ, ამერიკის ელჩს ან ევროსაბჭოს, ევროპარლამენტის წარმომადგენლებს დაუპირისპირდებოდნენ? დღეს უპირისპირდებიან იმიტომ, რომ უკვე ზღვარზე მივიდნენ, გამოაშკარავდნენ, აღარ მალავენ იმ თამაშს, რაც საქართველოში დაგეგმილია. თქვენ რა გგონიათ, სააკაშვილი უკრაინაში რომ დამკვიდრდა, ეს უკრაინული პოლიტიკური ელიტის და უსაფრთხოების ნება იყო? არა! უკრაინაში თუ ვინმე ინახავს სააკაშვილს, ეს გახლავთ რუსეთი იმიტომ, რომ იგი ამ ქვეყანაშიც არეულობის შემომტანი ფიგურაა. როცა იგი ამბობს: მე, ვარ ანტირუსი და როგორც რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ რაინდს ისე მიცნობენო, მაშინ რას ნიშნავს შემდეგი გარემოებები: თბილისში ივანოვის ჩამოსვლის მერე პრეზიდენტი გახდა, კოდორი რუსებს გადასცა, სამაჩაბლოს ნაწილიც ჩააბარა, უკრაინაში პარპაშებს, ბიძამისი — თემურ ალასანია ყოფილი კაგებეს პოლკოვნიკია, რომელსაც სპეციალური ღირსების მედალი აქვს, რასაც თითზე ჩამოსათვლელ რუსეთის უშიშროების წარმომადგენლებს აძლევენ და ამ ყველაფრის ფონზე, მიშა ანტირუსია? როგორ გგონიათ, ის რაც საქართველოში ხდება, შემთხვევითია?

**— კობახიძემ განაცხადა: „ნაცები“ საკონსტიტუციო ცენზს არ აკმაყოფილებენ, რაც საბაბას იძლევა ისინი არჩევნებიდან მოვხსნათო. ამ პარლამენტის მთავარი მიზანიც ეს ხომ არ არის — ეს პარტია პოლიტიკური ველიდან გავიყვანოთ?**

— თუ „ქართულ ოცნებას“ დასახული აქვს გეგმა, რომ „ნაცმოძრაობა“ პოლიტიკური ველიდან გაიყვანოს, ასეც, იქნება. პირდაპირ გეტყვით: „ქართულ ოცნებას“ 2020 წლის არჩევნებამდე 8 წლის მანძილზე „ნაცები“ პოლიტიკური ველიდან სპეციალურად არ გაჰყავდა იმიტომ, რომ მას იყენებდა როგორც საფრთხობელას, ცუდსა და კარგს შორის შედარების მოტივაციით და მიზანსაც აღწევდა. 2020 წელს ეს პოლიტიკური გეგმა ამოიწურა და ახლა მზად არიან „ნაცები“ პოლიტიკური ველიდან გაიყვანონ. თუ ეს მოხდება, დამიჯერეთ: „ნაცმოძრაობისთვის“ ხმის მიმცემთა დიდი ნაწილი, რომელიც 2012 წელს „ქართული ოცნების“ ამომრჩეველი იყო, „ნაცებს“ დაეხსნება. მერწმუნეთ: ეს თუ განხორციელდა, „ქართული ოცნება“ გზას გაუხსნის სხვა, ახალ პოლიტიკურ ძალებს, სხვანაირად არც შეიძლება იყოს. თუ „ქართული ოცნება“ ამ ე.წ. ოპოზიციას ახლა არ ჩამოიშორებს, მაშინ შეიძლება პოლიტიკური სადავეები თავად გამოეცალოს. ამიტომ, ამ ბრძოლაში სხვა ძალები უნდა გამოიკვეთოს, ეს შეიძლება „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებიც იყვნენ. მმართველ პარტიაში არიან პირები ვისაც არ მოსწონთ იქ მყოფი ლიბერალური ფრთა, ვინც ის ხალხი გაანაწყენა, რომელთაც სინამდვილეში „ქართული ოცნება“ ძალაუფლებაში მოიყვანეს. რიგი ძალები ცაიტნოტში არიან. უნდა გამოიკვეთოს ფიგურები, ვინც ამ ხალხს ხელს მოჰკიდებს და ახალ პოლიტიკურ ძალას შექმნის. ეს გარდაუვალია. პოლიტიკური მიმართულებები უნდა გაიშალოს და ამომრჩევლის ხმები უფრო კონსტრუქციულ პოლიტიკურ ძალებზე გადანაწილდეს.

**— ურჩ პარლამენტარებს კობახიძე დაემუქრა: საარჩევნო რეგისტრაციას გაგიუქმებთ და პარტიებს ვინც პარლამენტში არ შემოხვალთ, დაფინანსება შეგიწყდებათო.**

— სხვა გზა არ არის, თვითონ უნდა გამოასწორონ მათთან კოაბიტაციით დაშვებული შეცდომები. 2012 წელს რა საარჩევნო დაპირებითაც მოვიდნენ, ეგრევე უნდა განეხორციელებინათ. „ნაცმოძრაობა“ სამსჯავროს წინაშე უნდა დაეყენებინათ როგორც დამნაშავე პარტია. „ნაცმოძრაობის“ ლიდერი აღიარეს როგორც სისხლის სამართლის დამნაშავე, ასევე, მერაბიშვილი, უგულავა, ახალაია. ფაქტობრივად, მთელი კრიმინალური ბიოგრაფია შეიქმნა. ეს კრიმინალები ხომ „ნაციონალური მოძრაობის“ მამამთავრები იყვნენ და „ქართულმა ოცნებამ“ ეს პარტია პოლიტიკაში როგორ დატოვა?! როცა მამამთავრებს სისხლის სამართლის დამნაშავეებად აცხადებ, მის პარტიას პოლიტიკაში რა უნდა?! ამიტომ, თვითონ პარტია უნდა გასამართლებულიყო ისე როგორც გერმანიაში ნაცისტები გასამართლდნენ.



თამარ შველიძე
555 23 28 24

# ვისთვის გაისროლა „ავრორამ“ 1917-ში და ვისთვის გაისროლა ბალტინმა 1993-ში?



გელა ზედელაშვილი:

1917 წლის 24 ოქტომბრის ღამეს, 02 საათსა და 10 წუთზე დაიწყო შეტევა ზამთრის სასახლეზე. შეტევას წინ უძღვოდა კრეისერ "ავრორას" ზალპი!

არ გეგონოთ, ახალი წლის წინა დღეებში რუსეთის რევოლუციაზე უნდა გესაუბროთ... არა, უბრალოდ იმის თქმა მინდა, რომ ვისთვისაც "ავრორამ" წინა საუკუნის დასაწყისში გაისროლა, ვინც




70-წლიანი საბჭოთა სისტემით კარგად იხეირა, ისევ ისინი, ისევ მათი შთამომავლები დადგნენ ქვეყნის ე.წ. სადარაჯოზე და დღემდე ცდილობენ, ახლოს არავინ გააკარონ.

უკეთესად აგიხსნით: მაგალითად, რომ არა პეტერბურგში "ავრორას" მიერ გასროლილი ყუმბარა თუ ბომბი, რომ არა ბოლშევიკების მიერ მეფის დამხობა და შემდეგ საბჭოთა წყობილების დამყარება, დიდი ალბათობით, ცეკას პირველი მდივანი არ იქნებოდა ედუარდ შევარდნაძე... თუ არ იქნებოდა შევარდნაძე, ანზორ ბურჯანაძე ვერ დაინიშნებოდა თერჯოლის რაიკომის მდივნად... თუ ანზორ ბურჯანაძე ვერ დაინიშნებოდა რაიკომის მდივნად და ხელში ვერ ჩაიგდებდა პურ-პროდუქტების კორპორაციას, მისი შვილი ნინო ბურჯანაძე ვერ გახდებოდა პარლამენტის თავმჯდომარე... თუ ნინო ბურჯანაძე ვერ გახდებოდა პარლამენტის თავმჯდომარე (ჩაწყობით), ვერ აუმხედრდებოდა თავის მეორე მამას, ედუარდ შევარდნაძეს და ვერ მოუწყობდა ე.წ. რევოლუციას. რაც მთავარია, ჩემო ძვირფასებო, ბურჯანაძეები, ჩარკვიანები, სარიშვილები, კიტოვანები, სიგუები და მათნაირი ბოლშევიკები 1991–1992 წლების გასაყარზე, იგივე შევარდნაძის მეცადინეობით, ვერ დაამხობდნენ ეროვნულ ხელისუფლებას და საფეთქელში ტყვიას ვერ დაახლიდნენ ზვიად გამსახურდიას.

ხედავთ, რა კავშირი აქვს 1917-ში გასროლილ ზალპსა და ამათ, ამ ბოლშევიკების ნამოქმედარს? მე მხოლოდ ერთი მაგალითი მოგიყვანეთ, თორემ ისინი ბევრნი არიან... ისინი დღესაც წვალობენ, მათ დღესაც უნდათ რევოლუცია, დამხობა, წინ წყალი, უკან მეწყერი... ისინი რევოლუციებით, სისხლით, ნეხვით, ლეშით, სიკვდილით იკვებებიან... მათ ყოველთვის პირველობა სწყურიათ, ისინი უნდა იყვნენ თანამდებობებზე, მათ უნდა უწევდნენ ანგარიშს, მათ უნდა ეკითხებოდნენ და წყვეტდნენ საკითხებს იმიტომ, რომ ამათთვის გაისროლა "ავრორამ"... უფრო სწორად, "ავრორამ" თითქოს ჩაგრულთათვის გაისროლა, მაგრამ ამათ, ამ ავაზაკებმა იხეირეს.



●

2020 წლის 18 დეკემბერი. შალიკოს ფანჩატურში შეკრებილმა ე.წ. ოპოზიციამ საბოლოოდ გადაწყვიტა, 60 მანდატით არ შევიდეს პარლამენტში, არიოს სიტუაცია და მოაწყოს რევოლუცია. ფანჩატურიდან გამოსულმა ირაკლი ოქრუაშვილმა, რომელსაც ხმა შინაურებმაც კი არ მისცეს, წაიტრიპაჩა, არ იქნება ხელახალი არჩევნები – არ იქნება მშვიდობაო.

გაიგონეთ? ეს თქვა ირაკლი ოქრუაშვილმა... ადრე, მიხოს ეპოქაში სინაგან საქმეთა მინისტრი რომ იყო, შემდეგ თავდაცვის მინისტრიც რომ იყო, მერე გატრაკებაც რომ დაიწყო და სპორტულებში გამოწყობილი ტელევიზორშიც რომ ახოხიალეს. მაშინ ირაკლა გაიქცა... უფრო სწორად, თვითმფრინავში ჩასვეს და "გააქცუნეს", თავის მამულში ველარ ჩამოდიოდა, სამშობლოს გარშემო უვლიდა, მიხო სააკაშვილს ემუქრებოდა, თვალებში უნდა ჩაგხედოო. ვერ ჩახედა, ივანიშვილის წყალობით ეს რომ დაბრუნდა, ივანიშვილის "წყალობით" ის გაიქცა. ივანიშვილის წყალობით დაბრუნებული ივანიშვილს მტრად მოეკიდა... როგორც ა სჩანს, ასეთია სისხლით რევოლუციონერთა ჯიში და ჯილაგი... მე მოვკლავ დედას, მე მოვკლავ მამას, თუკი პარტია მიბრძანებს ამას!

ირაკლა არ გახლავთ პროფესიონალ რევოლუციონერთა კასტიდან, ის თავისი ჰაბიტუსით და ბუნებით გორელი მდაბიოა, რომელიც ცდილობს, "მაღალ საზოგადოებაში" გაერიოს, მაგრამ ვერ ახერხებს, შალიკოს ფანჩატურს ვერ გასცდა. მეტიც, ის რუსული აგენტურის ტიპიური წარმომადგენელია – განათლებასთან და ინტელექტთან მწყრალად მყოფი. საერთოდ, რა რევოლუციასა და რა გაყალბებაზე ლაპარაკობს, გაუგებარია, მან ხომ საბურთალოზე მხოლოდ სიდედრის ხმა მიიღო? აჰ, თუმცა... ჩემი ცოლის დაქალის დედამთილმა რომ ხმა მომცა, ის რა იქნაო? აუხსენით ახლა ამ გამოშტერებულს, რომ არ მიუცია, გადააგდეს!

## ლირიკული გადახვევა

თბილისში ცხოვრობს ერთი "ნარკუშა" პოეტი... უფრო სწორად, მოპოეტო ელემენტი... უფრო სწორად, ერთი მჯღაბნელი ელემენტი – კოტე ყუბანეიშვილი, რომელიც სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ ეს ხელისუფლება აუცილებლად დასამხობია.

რატომ არის აუცილებლად დასამხობი?

იმიტომ, რომ კოტეს "პოეზიას" არ აფინანსებს!

კოტეს "პოეზია" ძირითადად განკუთვნილია ნაგვის ურნებისა და უბორნიების გასაფორმებლად. თუმცა საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა აქვს – ფიქრობს, რომ ჰომეროსიდან დაწყებული, მისით დამთავრებული, ყველა პოეტს უჭირდა და უჭირს ფინანსურად.

ცხოვრებისეული ლოგიკა: იმ ქვეყანას და იმ ხელისუფლებას მოვუტ...ან გამჩენი, კოტე ყუბანეიშვილი რომ გადაატრიალებს, გადმოატრიალებს და დაამხობს. 1200 პროცენტით ვარ დარწმუნებული, ასეთი რამე არ მოხდება, მაგრამ თეორიულად მაინც თუ დაუშვებს ვინმე, მაშინ მე ეგეთი საქართველო არ მჭირდება.

ჰმ... კოტემ, კაცო? კოტემ როგორ უნდა გადამიტრიალოს სახელმწიფო და როგორ უნდა დამიმხოს ხელისუფლება?!

●

ჰოდა, მეგობრებო, იმას ვამბობდი... გამოლაგდნენ ე.წ. ოპოზიციონრები შალიკო ნათელაშვილის ფანჩატურიდან და განაცხადეს: ჩვენაო, დღესაო... როგორ გითხრათო, მივიღეთ ისტორიული გადაწყვეტილება, ხელი მოვაწერეთ რეზოლუციას, რათა არ შევიდეთ პარლამენტში და ეხლაო... ნუ გაგიკვირდებათ, თუკი ქვეყანაში მშვიდობიანი და ლეგიტიმური რევოლუცია მოხდებაო.

ჰა, ჰა, ჰა... დებილთა ღაღადი – მშვიდობიანი და ლეგიტიმური რევოლუციაო!

ამაზე ბევრი ვიცინეთ. მოგვიანებით ნიკანორამ განმარტა, რა გაცინებთო? რა, მშვიდობიანი რევოლუცია არ გაგიგონიათო?

ნიკანორ მელია: "მშვიდობიანი რევოლუცია ნიშნავს იმას რომ სამოქალაქო პროტესტის შედეგად ხელისუფლება იძულებულია გადადგეს და ინიშნება ვადამდელი არჩევნები – ეს არის დემოკრატიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი და ფუნდამენტიც კი".

გასაგებია? მნიშვნელობა არ აქვს, არჩევნები მართლა გაყალბდა თუ არა, მთავარია, იყოს მოთხოვნა. თუ არის მოთხოვნა, უნდა იყოს მიწოდებაც. როგორც კარლ მარქსი ამბობდა, მიწოდება ჰკიდია მოთხოვნაზე. დავუშვათ, "ქართული ოცნე-








ბა" წამოეგო მარქსისტების პროვოკაციაზე და მართლაც დანიშნა ვადამდელი არჩევნები, რა მოხდება შემდეგ? თქვენ გგონიათ, ე.წ. ოპოზიცია მართლა არჩევნებამდე მიიყვანს საქმეს? არა, ამათ მშვენივრად იციან, რომ ხელახალი არჩევნების შემთხვევაში უფრო მწარედ დამარცხდებიან, ამათი მიზანია, "ქართულ ოცნებას" აღიარებინონ, თითქოს არჩევნები მართლა გაყალბდა. ესენი ეძებენ მიზეზს, საბაბს, რათა ქვეყანა ააყირაონ!

შალვა ნათელაშვილს რევოლუცია ცოტა სხვანაირად წარმოუდგენია – მას სურს, ფანჩატურში ჩამოყალიბდეს ალტერნატიული პარლამენტი, რომელიც დაფინანსდება ბიუჯეტიდან. არა, პირდაპირ ე.წ. პარლამენტი კი არ დაფინანსდება, პარტიები მიიღებენ იმას, გვეკუთვნისო, რომ იძახიან და ამ თანხებით მოაწყობენ რევოლუციას.

ახლა უყურეთ... ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებმა გადასახადები უნდა ვიხადოთ იმისთვის, რომ ათიოდე თუ ოციოდე გამოყ...ევებულმა მოგვიწყოს რევოლუცია, ხომ? ასე გამოდის! ამიტომ, მე და ჩემნაირები კატეგორიულად ვითხოვთ, ვირეშმაკები, რომლებიც არ შევიდნენ პარლამენტში, არ უნდა დაფინანსდნენ ბიუჯეტიდან და საერთოდაც, უნდა გაუქმდეს პარტიების დაფინანსების მავნე კანონი, თავის მამიდას ყველამ მიხედოს თვითონ!

ე.წ. ოპოზიციის სქემა გაშიფრულია – ერთი-ერთზე ჯდება "კაკებეშნიკ" თემურ ალასანიას, ანუ რუსეთში დამუშავებულ გეგმასთან. ხელწერა იგივეა. გაიხსენეთ, რას ეუბნება ქოფაკი ალასანია ფარულ სატელეფონო ჩანაწერში სულწაწყმედილ გუბაზ სანიკიძეს: არავითარი მოლაპარაკება, შექმენით ალტერნატიული მთავრობა და გაუგზავნეთ შეტყობინება მსოფლიო თანამეგობრობას, რომ ქვეყნის ბედზე პასუხისმგებლობას ვიღებთ ჩვენ!

ესე იგი, ამათ მსოფლიო თანამეგობრობას უნდა გაუგზავნონ შეტყობინება, რომ ქვეყნის სვე-ბედზე პასუხისმგებლობას იღებენ გუბაზ სანიკიძე, ნიკანორ მელია, კოტე ყუბანეიშვილი, ირინა სარიშვილი, ნინო ბურჯანაძე, ძმები ბერძენიშვილები, თაკო ჩარკვიანი... და ხედავთ, მეგობრებო? მე პირადად ველარ ვიფიქრებდი, რომ 1990 წლის შემდეგ გავიდოდა 30 წელიწადი და ისევ ის სახეები, ისევ ის დამპალი "როჟები" დაიწყებდნენ რევოლუციის მომზადებას!

წარმოგიდგენიათ? 30 წლის შემდეგ ისევ ის სახეები!

უფრო სწორად... 1917 წლის შემდეგ, 2020 წელს, ისევ ის სახეები!

თუმცა მეც და თქვენც დარწმუნებულნი ვართ, რომ 2020 წლისა და 2021 წლების გასაყარზე "ავრორა" ველარ გაისვრის, კრეისერი დაჟანგდა, დალპა, გეგმა გაცვდა, დაძველდა, ახლა 21-ე საუკუნეა. ვიცით, რომ ამათ თავებში ჯერ ისევ მე-20 საუკუნის დასაწყისია, მაგრამ ფსიქიატრიული რჩევების მიცემის გარდა ვერაფრით დავეხმარებით.

არა, ესეც მაგარი რაღაცაა... 1917 წლის შემდეგ იგივე სახეები წამოიშალნენ სარკოფაგებიდან და მეუბნებიან, არჩევნები გაყალბდა, ისევ რევოლუციაა საჭიროო! კი, მაგრამ აღარ უშლიან? თუ ადრე უშლიდნენ და სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს, ახლა სხვა დროა, ახლა ისეთ პასუხს გავცემთ, თითოეულს თავის დედ-მამის სულს დავამხობთ თავზე!

დიახ, ჩვენ იქით დავამხობთ, ვინც ამ ქვეყნის არევას გაიფიქრებს!

არ იდარდოთ, ყველაფერი კარგად იქნება!

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს.





# ახალი რეგულაციები პანდემიასთან დაკავშირებით

მთავრობა პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვების 24 დეკემბრიდან შემსუბუქების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით ინფორმაციას ავრცელებს.საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, შეზღუდვების შემსუბუქება 2 იანვრამდე იმოქმედებს.

შესაბამისად, თითოეული ჩვენგანის, როგორც ხელისუფლების, ისე კერძო სექტორისა და თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლობაა, გავუფრთხილდეთ მიღწეულ შედეგს და იმ ფასს, რომელსაც ჩვენი ქვეყანა იხდის. ამიტომ, საკოორდინაციო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ 24 დეკემბრიდან – 2 იანვრის ჩათვლით შეზღუდვების შემსუბუქება არ განხორციელდეს სრული მოცულობით:

1. ძალაში რჩება მუნიციპალური ტრანსპორტის შეზღუდვა თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, ბათუმში, გორში, ზუგდიდში, ფოთსა და თელავში;

2. ასევე ძალაში რჩება საქალაქთაშორისო ტრანსპორტის გადაადგილების შეზღუდვა მთელი ქვეყნის მასშტაბით. კერძო ავტომანქანებით გადაადგილება კვლავ იქნება ნებადართული;

3. ბაზრობები არ გაიხსნება. მუშაობას ისევ გააგრძელებენ აგრარული ბაზრები, წესების სრული დაცვის პირობით;

4. 24 დეკემბრიდან- 2 იანვრის ჩათვლით ზემოთაღნიშნულ ქალაქებში კოვიდ-უსაფრთხოების ყველა წესის დაცვის შემთხვევაში მუშაობას განაახლებენ სავაჭრო ობიექტები;

5. მეტიც, გათვალისწინებულია დამატებითი რეგულაციები, რომელზეც წინასწარ გაიმართა კონსულტაციები ბიზნესთან:

მაღაზიების სამუშაო საათები განისაზღვრება დილის 07:00დან 19:00 საათამდემომხმარებელების სავაჭრო სივრცეში დაშვება უნდა მოხდეს ნაკადების მკაცრი მართვით, რისთვისაც:

მაღაზიის ფართის ყოველ 20მ2 დაიშვება არაუმეტეს ერთი მომხმარებელი. მაღაზიების როგორც შიდა, ასევე მაღაზიის გარე სივრცეში უნდა მოხდეს მომხმარებელთა რიგების მართვა; ფასდაკლებების აქციები გამოცხადდეს ძირითადად დილის საათებში ან/და ონლაინ გაყიდვების შემთხვევაში;

ტანსაცმლის მაღაზიებში არ იმუშავებს გასახდელები. ამასთან, მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით, მაღაზიებმა უნდა დაუშვან პროდუქციის დაბრუნება ან გადაცვლა ერთი თვის განმავლობაში და



ეს უნდა მოხდეს მხოლოდ 1-ელი თებერვლის შემდეგ. სავაჭრო ცენტრებში იკრძალება კვების ობიექტების ფუნქციონირება, მათ შორის გატანის სერვისით ყველა სივრცეში და მაღაზიის გარეთ რიგებში დაცული უნდა იყოს სოციალური დისტანცია და პირბადეების სწორად ტარების მოთხოვნები. აღნიშნულზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება სავაჭრო ობიექტების ადმინისტრაციას. ნებისმიერი დარღვევის დადგენის შემთხვევაში, ობიექტების მიმართ გამოყენებული იქნება კანონით დადგენილი ყველა ღონისძიება, როგორც დაჯარიმება, ასევე საქმიანობის შეჩერება.

6. მოგეხსენებათ, რომ დღეის მდგომარეობით სათხილამურო კურორტების გარდა, მთელი ქვეყნის მასშტაბით დაშვებული იყო სასტუმროების და მათთან არსებული რესტორნების ფუნქციონირება მხოლოდ სასტუმროების სტუმრების მომსახურებისთვის. აკრძალულია კულტურული და სხვა სახის გასართობი ღონისძიებების მოწყობა.

7. სამწუხაროდ ვხედავთ, რომ სასტუმროების დიდი ნაწილი ცდილობს ამ მოთხოვნების გვერდის ავლას და საახალწლო საღამოების მოწყობას.

8. აქედან გამომდინარე, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ სასტუმროების რესტორნები იმუშავებენ მხოლოდ 21:00 საათამდე, ხოლო 21:00 საათიდან დაშვებული იქნება მხოლოდ ნომერში მომსახურების სერვისი.

9. რესტორნები და კვების ობიექტები ქვეყნის მასშტაბით აგრძელებენ მუშაობას მხოლოდ გატანის სერვისზე.

10. ძალაში რჩება გადაადგილების შეზღუდვა მთელი ქვეყნიოს მასშტაბით 21:00 საათიდან 05:00 საათამდე, როგორც ქვეითად, ისე ავტომობილით;

11. გამონაკლისი იქნება ახალი წლის ღამე – 31 დეკემბრის ღამე და ასევე შობის ღამე – 6 იანვრის ღამე;

12. აღნიშნული გამონაკლისის მიუხედავად, კვლავ მოვუწოდებთ მოსახლეობას, დღესასწაულები აღნიშნონ ვიწრო ოჯახურ წრეში“, – ნათქვამია საკოორდინაციო საბჭოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# — რაზე წერდა „საერთო“

## ქათმების ფერმა, სადაც რამდენიმე გაფხორილი ყვერული დარბის



„ნაცევრონაცებმა“ თვითონვე გამოუტანეს საკუთარ თავს განაჩენი და თავიანთ პოლიტიკურ მომავალს მაშინ დაუსვეს წერტილი, როცა განაცხადეს, რომ, საკონსტიტუციო ცვლილებებს მხოლოდ იმ პირობით დაუჭერდნენ მხარს, თუ გიორგი რურუას ციხიდან გამოუშვებდნენ.

— ის გამოვა, ჩვენ შევალთო, — განაცხადა პოლიტიკოსმა (!) რომან გოცირიძემ.

გოცირიძე, რა თქმა უნდა, პარლამენტში შესვლას გულისხმობდა, თორემ, ციხეში შესასვლელად ეგ რომ ვერ ივარგებს, თვითონაც კარგად იცის.

რურუა ვერ გამოვიდა და ესენიც არ შევიდნენ სხდომაზე — რურუას გათავისუფლებამდე ჩვენ კენჭისყრაში მონაწილეობას არ მივიღებთო. განა არ გვინდა, ამ ცვლილებებს მხარი დავუჭიროთო, ამ ცვლილებებზე ვოცნებობთ რამდენი ხანია, მაგრამ რურუას გარეშე კენჭისყრაში მონაწილეობას არ ვიკადრებთო, — გაკერპდნენ და გაჯიქდნენ „ნაცევრონაცები“.

— ეგრე რომ მოვიქცეთ, არაქურდულია, ძმაოო, — ერთი ეგ არ უთქვამთ ხმამაღლა, მაგრამ თქმა რად უნდოდა — ცხადია, ქურდულს აწვებოდნენ და დიდი ჟორიკას წინაშე თავს იწონებდნენ და ქულებს იწერდნენ.

აკი, პოლიტიკოსები ვართო, ხალხის რჩეულები ვართო და ამ დროს ქურდულ კარიერაზე ოცნებობდით?

საოცნებო და სანატრელი რა გქონდათ — 25 წელია, ისედაც ქურდებად ზიხართ ქართულ პოლიტიკაში და „პრავას აკაჩავებთ“, ჟორიკაზე ნაკლები რით ხართ, თუ მეტი არა?

„ნაცევრონაცებო“, მას შემდეგ, რაც კონსტიტუციის ცვლილებების კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეთ, თქვენ, ფაქტობრივად, მორალური უფლება არ გაქვთ, იმ არჩევნებში მიიღოთ მონაწილეობა, რომელიც ამ კენჭისყრის შედეგად მიღებული წესებით უნდა ჩატარდეს.

ჯობია, იმ ციხის კარებთან დასხდეთ, სადაც გიორგი რურუა ზის და მის გამოსვლას დაელოდოთ. — ეგ არის ახლა თქვენი ბოსი, თქვენი ლიდერი და სანამ ეგ „სვაბოდაზე“ არ გამოვა, რა აზრი აქვს თქვენს ფაფხურს და მანჭვა-გრეხვას?

რაც შეეხება რურუას ციხიდან გამოსვლას, თუ ქართულმა მართლმსაჯულებამ ივაჟკაცა, თქვენი ლიდერი გარეთ შეიძლება ძალიან, ძალიან დიდხანს ვერ გამოვიდეს, მაგრამ არა უშავს, დასხედით და დაელოდეთ.

თვითლუსტრაცია, თვითაღიარება ჰქვია იმას, რაც „ნაცევრონაცებს“ რურუასთან დაკავშირებით დაემართათ.

ჩხრიკეს, ჩხრიკეს და რურუას აპეკუნობაში საფლავებიდან ის ცხედრები ამოყარეს, რომლებმაც ყველაფერი იციან, ყველაფერი ახსოვთ, მათ შორის ისიც ახსოვთ, ვინ არის ჟორიკა რურუა და ვინ ხართ თქვენ.

ტყუილად გგონიათ თქვენ, „ნაცევრონაცებო“, რომ ცხედრები, რადგან საფლავებში წვანან, არ მოქმედებენ და შურისძიებაზე არ ფიქრობენ.

ცოცხლებმა შეიძლება დაგინდონ, მაგრამ მიცვალებულები არ დაგინდობენ.

ადრე თუ გვიან, ისინი აუცილებლად წამოგეწევიან და მწარედ გაზღვევინებენ ყველაფრის გამო.

— სიძულვილის ენით გველაპარაკებიანო, — წუხან „ნაცევრონაცები“.

თქვენ, ათასი საშინელი ცოდვის ჩამდენებს, აბა, როგორ უნდა გელაპარაკოთ — ენა მოგიჩლიქოთ, თავზე ხელი გადაგისვათ და ფოჩიანი კანფეტები მოგართვათ?

სიძულვილის ენით გელაპარაკებიან კი არა, სადაც სამართალია, თქვენ საერთოდ არ უნდა ჭაჭანებდეთ ქართულ პოლიტიკაში, თქვენ საერთოდ ვერ უნდა ბედავდეთ ხმის ამოღებას და ხალხში გამოჩენას.

ბოლო დროის მოვლენებით თქვენ კიდევ ერთხელ დაამტკიცეთ, რომ თქვენ არ ხართ პოლიტიკოსები, თქვენ ხართ ჩვეულებრივი მოძალადეები, თქვენ ხართ ახალი დროის „მხედრიონი“, იმ ძველ „მხედრიონზე“ გაცილებით უარესები და ვერაგები.

●

როგორც წერილის დასაწყისში ვთქვით, „ნაცევრონაცებს“ ამ არჩევნებში სრული ფიასკო ელით.

სრული ფიასკო ელით მათთან მიტმასნილ სხვა პარტიებს თუ ცალკეულ პერსონებს.

არჩევნებამდე დარჩენილ ამ რამდენიმე თვეში ისეთი რა უნდა ჩაიდინოს „ქართულმა ოცნებამ“, ისეთი რა შეცდომები უნდა დაუშვას, რომ ამ ნულამდე რეიტინგდავარდნილ და ძირგავარდნილ ოპოზიციურ პარტიებს გამარჯვების რაღაც მინიმალური შანსი მაინც გაუჩნდეთ.

**(ფრაგმენტი)**
**„სგ“ N19. 2020წ.**

## თუ გვინდა რომ საქართველო არ დამთავრდეს, უნდა დამთავრდეს „ნაცმოძრაობა“ - 21-ე საუკუნის ქართული ფაშიზმი

ფაქტია, რომ „ქართული ოცნება“ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს გარედან გამოგზავნილი ინსტრუქციების და მითითებების გარეშეც სამართლიანად, გამჭვირვალედ და დემოკრატიულად ჩაატარებს და ყოველგვარი გაყალბების და სხვა მანიპულაციების გარეშე, დამაჯერებლად გაიმარჯვებს, მაგრამ ეს სულაც არ იძლევა იმის გარანტიას, რომ საქართველოშიც არ მოხდება იგივე, რაც დღეს ბელარუსში ხდება და გარკვეულმა ძალებმა, ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც, არჩევნების შედეგების გაუქმება ან გამარჯვებულად დამარცხებული ოპოზიციის გამოცხადება მოითხოვონ.

მსოფლიოში უკვე ტენდენციად ქცეული ეს ძალადობრივი მოვლენა თუ ნორმად უნდა დაწესდეს, მაშინ რა აზრი აქვს საერთოდ ამ დემოკრატობანას თამაშს — დაგვინიშნეთ პირდაპირ თქვენთვის სასურველი პირები უფროსებად — ხან სააკაშვილი, ხან ბოკერია ან თუნდაც ქართველი ნელსონ მანდელა – „პოლიტპატიმარი“ ჟორიკა.

●

დარწმუნებული ვარ, არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები და მათი მხარდამჭერები ბევრს და მრისხანედ ილაპარაკებენ იმაზე, რომ არჩევნები გაყალბდა, თუმცა, სინამდვილეში, არჩევნების გაყალბებას ადგილი არ ექნება.

ბევრს და მრისხანედ ილაპარაკებენ იმაზე, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ხმები მოიპარა, თუმცა, სინამდვილეში, არც ერთი ხმა არ იქნება მოპარული.

ბევრს და მრისხანედ ილაპარაკებენ იმაზე, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ოპოზიციას გამარჯვება წაართვა, თუმცა „ქართულ ოცნებას“ არავისთვის არაფერი არ ექნება წართმეული.

ბევრს და მრისხანედ ილაპარაკებენ დემოკრატიაზე და დემოკრატიული ღირებულებების ხელყოფაზე ხელისუფლების მხრიდან, თუმცა ესეც სრული სიცრუე და მონაჭორი იქნება.

მიუხედავად ამისა, ოპოზიციის მხრიდან, პირველ ყოვლისა, ნაცებისა და ევრონაცების მხრიდან, მაინც იქნება თავგანწირული მცდელობა დესტაბილიზაციისა, არეულობისა, ქაოსისა.

იქნება მიზანმიმართული პროვოკაციები, რომ ხელისუფლება წონასწორობიდან გამოიყვანონ და შეცდომები დააშვებინონ.

ყოველივე ამის მთავარ ორგანიზატორად და იდეოლოგად, მიმართულების და ინსტრუქციების მიმცემად მოგვევლინება მიხეილ სააკაშვილი უკრაინიდან, საქართველოს მტერი, პოლიტიკური ურჩხული, ძალაუფლების ფლობის მანიაკალური ინსტინქტებით გონდაბინდული არსება, რომლისთვისაც ოქტომბრის არჩევნები არის პოლიტიკური რეანიმაციის, პოლიტიკური რეაბილიტაციის ბოლო შანსი.

ახლა „ნაცმოძრაობის“ და მისი განშტოებების გადასაწყვეტია, პოლიტიკურ საფლავში ჩაყვებიან სააკაშვილს და მასთან ერთად გაიხვეტებიან პოლიტიკური ასპარეზიდან თუ იმ ადგილს დასჯერდებიან, რასაც მათ ქართველი ამომრჩეველი მიუჩენს.

●

არავის არ მიუყენებია იმდენი ზიანი, არავის არ შეულახავს დასავლეთისა და მსოფლიოს დემოკრატიული ინსტიტუტებისთვის იმიჯი ისეთი დიდი დოზებით, როგორც ეს ნაცმოძრაობამ გააკეთა თავისი მოღვაწეობის 9 წლის მანძილზე.

ნაცმოძრაობა, რომელიც ამტკიცებდა, რომ პროდასავლური, დემოკრატიული ძალაა და მოქმედებდა, როგორც კრიმინალურ-ფაშისტური ბანდა, პირდაპირ უბიძგებდა დასავლეთით და დემოკრატიით განხიბლულ მოქალაქეებს რუსული ორბიტისკენ, რომ იქ ეძებნა ხსნა და საშველი ამ მოძალადე ხელისუფლებისგან თავის დასაცავად.

თუ სააკაშვილი დემოკრატიის შუქურაა ყოველივე იმის შემდეგ, რაც მან საქართველოში გააკეთა, მაშინ დემოკრატია სხვა რამ ყოფილა და არა ის, რაც აქამდე გვეგონა.

თუ „ნაცმოძრაობა“ პროდასავლური ორიენტაციის პარტიად შეიძლება ჩაითვალოს, მაშინ ეს დასავლეთი ის დასავლეთი არ არის, რომლისკენაც საქართველო მთელი თავისი არსებობის განმავლობაში მიისწრაფოდა, როგორც მშობლიური სახლისკენ.

საქართველო და ქართველი ხალხი არ იმსახურებს იმას, რომ თვალში ნაცარი აყარონ და ჩვეულებრივი მკვლელები, სადისტები და ყაჩაღები დემოკრატებად შემოასაღონ, უფრო ზუსტად, დემოკრატებად „დაუნიშნონ“.

ეს ამაზრზენი დემაგოგია, ეს შეურაცხმყოფელი ფარსი უნდა დამთავრდეს!

**(ფრაგმენტი)**
**„სგ“ N24. 2020წ.**



# გაზეთი“ 2020 წელს

## ქართული ოპოზიცია - შევარდნაძის სახელობის ნაგავსაყრელი



ქართული პოლიტიკა დიდი ხანია იქცა ნაგავსაყრელად, რომელიც იმდენი ხანია არ გამოწმენდილა, იმდენი ხანია დეზინფექცია არ ჩატარებია, რომ იქაურობა უკვე ყარს.

აი, ამ ნაგავსაყრელზე ვიქექებით ჩვენ ოცდაათი წელია და იქიდან იმ ბრილიანტების ამოკრეფას ვცდილობთ, რომლებიც იქ არ არის.

ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძის სახელობის ნაგავსაყრელია ეს, მის მიერ დატოვებული მემკვიდრეობაა.

ეს მან შთააგონა ქართველ ხალხს და მან დაგვიტოვა ახალ მოძღვრებად, რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა.

თუ პოლიტიკა ბინძური საქმეა, იქ წესიერი და პატიოსანი ადამიანების ადგილი არ ყოფილა და ასპარეზი ბინძურ ადამიანებს უნდა დაეთმოთ, რომლებიც ყველაფერს იკადრებენ, ყველაფერზე წავლენ და სინდისის ქენჯნა არც შეაწუხებთ — პოლიტიკა ხომ ბინძური საქმეა!

ასე ასწავლა შეგირდებს დიდმა გურუმ, ასე ასწავლა დიდმა მოძღვარმა და ჩვენი პოლიტიკოსების უმრავლესობას ამ მოძღვრებისთვის არ გადაუხვევია.

პირიქით, ზოგიერთებმა კიდევ უფრო განავითარეს, კიდევ უფრო გააღრმავეს და ახალ რეგისტრში აიყვანეს დიდი მასწავლებლის დანაბარები.

ვინ შეყარა ერთად ამდენი აფერისტი, ამდენი ავანტურისტი და პროვოკატორი, ამდენი ქვეყნის მოღალატე და გამყიდველი, ამდენი ბრიყვი და ყეყეჩი და ვინ უწოდა და ვინ მონათლა ეს ყველაფერი პოლიტიკად?

●

„ქართული ოცნების“ გარდა, დღეს არსებული თითქმის ყველა პოლიტიკური პარტია, რომლებსაც ასე თუ ისე პოლიტიკური პარტია ეთქმის, შევარდნაძის „მოქკავშირულ“ ყანაშია გაზრდილი და ამ ყანის მოწამლული და მოშხამული ნიადაგიდან იკვებება დღემდე.

ამ პარტიათა შორის პირველი მაინც „ნაცმოძრაობა“ უნდა დავასახელოთ, „ნაცმოძრაობა“ — შევარდნაძის ნაბიჭვარი პოლიტიკური შვილი, „მოქკავშირელი“ თანამებრძოლების და თანამოაზრეებისგან ჩუმად, მალულად, ნაპარავად გაკეთებული, რომელიც, მოგვიანებით, ასევე ჩუმად და მალულად მიუსია თავის ერთგულ თანამებრძოლებს და თითო-თითოდ შეაჭმევინა, რომ თვითონ ცოცხალი და საღ-სალამათი დარჩენილიყო.

„ნაცმოძრაობა“, რომელიც ხშირ-ხშირად აყვედრის „ქართულ ოცნებას“, რომ უკვე რვა წელია ხელისუფლებაშია და დროა წავიდეს, თვითონ, ფაქტობრივად, 25 წელია ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებშია სხვადასხვა სტატუსით და როგორც ჩანს კიდევ 25 წელი უნდა რომ ზედაპირზე იტივტივოს.

სულ ტყუილად აბრალებენ „ქართულ ოცნებას“, რომ ქართულ სინამდვილეში მან შექმნა კოჰაბიტაციის პირველი პრეცედენტი.

კოჰაბიტაციის პირველი პრეცედენტი შექმნა შევარდნაძემ, როცა 1995 წელს ქართულ პოლიტიკაში ქართული მენტალობისთვის აბსოლუტურად უცხო, გაურკვეველი იდეოლოგიის და მისწრაფებების პოლიტიკური „შპანა“ შემოყარა და საპასუხისმგებლო თანამდებობები ჩამოურიგა.

ედუარდ შევარდნაძეს ბევრი დანაშაული მიუძღვის ქართული სახელმწიფოს წინაშე, მაგრამ ამ დანაშაულთაგან ყველაზე მძიმე დანაშაული „მოქკავშირის“ ე.წ. ახალგაზრდული ფრთის აღზევება იყო.

ამ ფრთამ, რომელსაც ინტრიგების ხლართვის, ფულის კეთების, კორუფციული სქემების დალაგების საოცარი ალღო და უნარი აღმოაჩნდა, სულ მალე შეისხა მძლავრი ფრთები და სახელმწიფო გადატრიალების გზით, რომელსაც, რატომღაც, „ვარდების რევოლუცია“ ეწოდა, თავის დროზე ხელისუფლებაში ასევე სახელმწიფო გადატრიალების გზით მოსული შევარდნაძე დაამხო.

თუ ქურდის ქურდი ცხონდება, ამ ლოგიკით გადამტრიალებლის გადამტრიალებელიც უნდა ცხონდეს — ასე მიიღო ქართველი ხალხის ერთმა ნაწილმა „ნაცმოძრაობის“ და მიხეილ სააკაშვილის მოსვლა ხელისუფლებაში, თუმცა იმას ვერ მიხვდა, რომ სააკაშვილიც იგივე შევარდნაძე იყო, ახალგაზრდა შევარდნაძე, მასავით დაუნდობელი, სასტიკი, სისხლის მოყვარული, შურისმაძიებელი, ძალაუფლების ფლობის მანიაკალური ინსტინქტებით შეპყრობილი.

**(ფრაგმენტი)**
**„სგ“ N27. 2020წ.**



## სია, როგორც განაჩენი

როგორც მოსალოდნელი იყო, აბსოლუტური სიცრუე აღმოჩნდა სააკაშვილისა და ნაციონალების ბაქიბუქი იმის შესახებ, რომ საპარლამენტო არჩევნებისთვის ისეთ სიას წარმოადგენდნენ, რომელიც ახალი სახეებით ახალი ამომავალი პოლიტიკური ვარსკვლავებით იქნებოდა გადაჭედილი და გადაბრჭყვიალებული.

ვარსკვლავებით კი არა ეს სია დახავსებული რიყის ქვებით არის ამოხორგილი, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ „ნაცმოძრაობა“ გაკოტრებული ორგანიზაციაა, რომელსაც არანაირი რესურსი არ გააჩნია.

მეტსაც გეტყვით: — **„ნაცმოძრაობის“ მიერ წარმოდგენილი ეს სია, ამ არჩევნებში მონაწილე ნებისმიერი, თუნდაც ე.წ. ერთპროცენტიანი პოლიტიკური ორგანიზაციის პარტიულ სიაზე გაცილებით სუსტი და უსახურია.**

მიხეილ სააკაშვილის და „ნაცმოძრაობის“ ელიტის ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე არასოდეს ვყოფილვარ მაღალი წარმოდგენის, მაგრამ მაინც არ მეგონა, ეს ადამიანები ასეთი გონებაშეზღუდულები თუ იყვნენ. რუსებს აქვთ გამოთქმა: „სილა ესტ, უმა მი ნადა“.

ნაციონალებს „სილა“ როცა ჰქონდათ, ამით თავიანთ უწკუობას მალავდნენ, მაგრამ როგორც კი ძალაუფლება დაკარგეს, მათი უჭკუობა თვალშისაცემი გახდა.

ამ სიის შემდგენლები თითქოს მიზანმიმართულად ცდილობენ განახორციელონ ერთი უცნაური და ლოგიკურად აუხდენელი გეგმა — ამ სიით, რაც შეიძლება მეტი მხარდამჭერი კი არ მოიზიდონ, არამედ რაც შეიძლება მეტი ადამიანი აიძულონ ზურგი შეაქციონ „ნაცმოძრაობას“.

ამ „ჭკვიანური“ გეგმის სისრულეში მოყვანას სიის დაწყებისთანავე ეყრება საფუძველი — **„ნაცმოძრაობის“ პირველ ნომრად დასახელებულია მომღერალი ბუბა კიკაბიძე, რომელიც, დარწმუნებული ვარ, შემატებით ერთ ხმასაც კი ვერ შეჰმატებს „ნაცმოძრაობას“, გამოკლებით კი უამრავ ხმას გამოაკლებს** იმ „დამსახურებების“ გამო, რაც ამ კაცს მიუძღვის საქართველოს წინაშე.

„საერთო გაზეთის“ ამ ნომერში იბეჭდება მასალები, სადაც საუბარია კიკაბიძის იმ „დამსახურებების“ შესახებ, რომლებიც მთელმა საქართველომ იცის, მაგრამ არ იცის თურმე მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც გვარწმუნებს, რომ კიკაბიძე რუსეთთან შეუპოვრად მებრძოლი მეომარია, რომელიც ვერავინ მოისყიდა.

რუსების წინააღმდეგ ბრძოლის რა მოგახსენოთ, მაგრამ კიკაბიძე მთელი ცხოვრება რუსებს რომ უმღეროდა „ჩიტო-გვრიტოს“, ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია.

ქართველების იმდენად არა, მაგრამ რუსების უსაყვარლესი მომღერალი იყო კიკაბიძე.

მოსკოვში ჰქონდა გახსნილი რესტორანი „არდაიდარდო“, რომელიც, როგორც საქმეში ჩახედული ადამიანები ამტკიცებენ, რუსთაველის პროსპექტის სარეაბილიტაციოდ მოსახლეობის მიერ შემოწირული ფულით და ძვირფასეულობით გახსნა.

და რაც მთავარია, **კიკაბიძეა ის კაცი, რომელიც 90-იან წლებში ავტომატით ხელში „იცავდა“ თბილისქალაქს „სოფლელების“ შემოსევებისგან და აქტიურად იბრძოდა კანონიერად არჩეული ხელისუფლების დასამარცხებლად.**

აი, ასეთი მომღერალი (მომღერალი კი არა, ეგეც არ იყოს ლუჩიანო პავაროტი) ჰყავს სააკაშვილს თავისი „ისტორიული“ სიის ნომერ პირველ კანდიდატად.

(კიკაბიძის შემდეგ მეორე ნომრად თენგიზ კიტოვანი რომ დაესახელებინა სააკაშვილს, არ იქნებოდა ურიგო).

სააკაშვილმა ვახტანგ კიკაბიძის პირველ ნომრად დასახელებით, ფაქტობრივად, სულში ჩააფურთხა იმ ასეულათასობით ქართველს, რომლებსაც კიკაბიძემ და მისნაირებმა ცეცხლის გრიგალი დაატეხეს თავს მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი თავიანთი სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და კანონიერად არჩეულ ხელისუფლებას იცავდნენ.

**სააკაშვილმა გათქვა თავისი თავი და, ფაქტობრივად, აღიარა, რომ მისი სიმპათიები პუტჩისტების და იმ ძალებისკენ იხრება, რომლებმაც დამოუკიდებლობის გზაზე ახლად, ფეხშედგმულ ქვეყანას ზურგში მახვილი ჩასცეს.**

ზურგში მახვილის ჩაცემა არც სააკაშვილს დაუკლია საქართველოსთვის.

პრეზიდენტობამდე და პრეზიდენტობის პერიოდშიც მისი მთავარი საყრდენი ძალა ყოფილი პუტჩისტები, ყოფილი „მხედრიონელები“, კრიმინალები, კრიმინალური მიდრეკილების ელემენტები იყვნენ.

პოლიტიკოსს, რომელსაც კულტურის მინისტრად მხედრიონელი ნიკა რურუა ჰყავდა და ახლა მთავარ მოკავშირედ მისი ძმა ჟორიკა რურუა ჰყავს, რომლის ზონდერ ბრიგადებსაც მიტინგების, აქციების დასარბევად და ყველა შავი საქმის მოსაგვარებლად იყენებდა, როგორ შეიძლება პოლიტიკოსი ეწოდოს?

**(ფრაგმენტი)**
**„სგ“ N31. 2020წ.**

# მიხო და მარო, ანუ მამი-აფრიკა!

## ყველა გაჭირვებულს უნდა მიხედოს ბიძინა ივანიშვილმა, ყველა მშიერსა და უსახლკაროს უნდა უპატრონოს კახი კალაძემ... დანარჩენმა მილიონერებმა, ერთი თეთრიც არ უნდა გაიღონ?

მამი, აფრიკაო... რა აფრიკაო, შვილო? ისაო, აფრიკაო, სახლიო, ბლოკიო, მიწაო, მიდექი, მოდექიო. ააა, ჰოოო, მაშ, მაშ, სწორედაც რო ეგრე იქნებაო. ესე იგი, აფრიკაო, ხო? ჰო-მეთქი, აფრიკაო, თბილისში როა, ისაო.

არ გაგიკვირდეთ, ამ წერილის წერა იმ ფრაგმენტით დავიწყე, ბოლო ორი წლის განმავლობაში რომ მესმოდა ალაგ-ალაგ, ხან სოფლად, ხან ქალაქად.

დიახ, ბოლო ორი წლის განმავლობაში მესმოდა და დიდად ყურადღებასაც არ ვაქცევდი. ერთი-ორჯერ კი ვუთხარი, უკანონობას სჩადიხართ, არ გაპატიებენ, დაგაჯარიმებენ და დაგინგრევენ-მეთქი. მაიცა, რააა, აშენებულს ვინღა დაანგრევსო? დაანგრევენ და დედებს ვუტირებთო! გეუბნებით, დაანგრევენ-მეთქი. ჰმ... ფეხებსაც ვერ მოგვჭამენო.

მოკლედ, სიტუაცია დაიხატა ასეთი: ვიღაცებმა, ქვეყნის არევ-დარევის მოსურნეებმა, ნაცებმა, სმაცებმა, გნაცებმა სოფლებში მოაჭორეს, ეს ხელისუფლება უნიათოა, ჩადით თბილისში, შემოღობეთ მიწები, მოახლაფორთეთ ქოხები, მოვა დრო, დაგიკანონებენ, თუ არ დაგიკანონებენ, გააპროტესტეთ, იჩხუბეთ, დაამხეთ, ჩვენ მოვალთ და დაგიკანონებთო. ზოგიერთმა იკითხა, სად შემოვღობოთ, პირდაპირ რუსთაველზე თუ სხვაგან სადმეო? ზოგიერთმა ხელი ჩაიქნია, თბილისში მარტო თავისუფლების მოედანი ვიცით, მანდ ვინ შემოგვაღობინებსო? არაო, დააკვალიანეს შმაცებმა, აფრიკაშია კაი ტერიტორიები, თან ცოტა შორია, ყოველდღიურად ვერავინ გაგაკონტროლებთ, ქოხებს იოლად ააშენებთო. თუ ვინმე მოვა, ქვებით დაუხვდით, საბურავებიც მზად გქონდეთ, ტლაპოში ახოხიალეთო. ზოგიერთმა მხრები აიჩეჩა, აფრიკაში რა მინდა, ჩემი ქვეყანა არ მირჩევნიაო? ეეე, შე აფრაკო, ეს სხვა აფრიკაა, თბილისის გარეუბანია, ხოშიანი მინდვრებია, გასატრაკებლადაც პერსპექტიულიაო.

ერთხელ შევესწარი ცოლ-ქმრის ლაპარაკს (პირობითად დავარქვათ მიხო და მარო), ერთმანეთში ბჭობდნენ, ქალაქში წავიდეთ, სახლი ავიშენოთ, ბალღები უკვე სტუდენტები არიან, ქირა როდემდე უნდა ვიხადოთო?

მიხომ – დედაკაცო, მაგდენი ფული სად არიო?

მარომ – იიიჰ, აგე, ჭუტალაანთ ზაქრომ თურმე იგეთი "დვარეცი" წამოჭიმა აფრიკაში, ავ თვალ არ დეენახვებაო.

მიხომ – რა "დვარეცი", რეებსა ბოდამ, ზაქროსა მაგი ტრაკი სადა ჰქონდაო?

მარომ – თავი ცოლი ძმაი წაუყვანია აფრიკი დასახლებაში, მიწა მიუზომნია და სახლიც აუშენებიაო.

მოკლედ, მარომ ტვინი უბურღა მიხოსა, ჩამაიყვანა აფრიკის დასახლებაში, აზიდინა ცემენტი, ბლოკი, ქვიშა და... ერთ დღესაც დაადგნენ თავზე, აქ რას აკეთებო?

მიხო დაიბნა, უცებ გამოჩემიჩდა – მე რაი ვაკეთებო?

ჰო, შენ გეკითხებით, აქ რას აკეთებო?

არაფერსაც არ ვაკეთებ და საერთოდაც, აქაური არა ვარო.

მარომ ხელები აიშალა – რა გინდათ, ვინა ჰყრიხართო?

ქალაქის მაკონტროლებელი ორგანოდან გახლავართ, ფურცელი მოგიტანეთ, ზედა სწერია, როგორც უნდა მოიქცეთო.

წაიკითხეს, გაოგნდნენ, თეთრზე შავად ეწერა, უკანონო ქოხი დაშალეთო... თუ არ დაშლით, ამა და ამ კანონის, ამა და ამ მუხლის, ამა და ამ ქვეთავის, ამა და ამ პუნქტის თანახმად ჩვენ თვითონ დავშლითო, დავანგრევთო.

ამათ, ამ თავგასულებმა არ დაიჯერეს, ხაშურიდან მძახლებმა გადმოურეკეს, ნუ გეშინიათ, არჩევნები მოდის, შემოღობილებს მალე დაგიკანონებენ, ჩვენებიანთ ნოდარაც ეგრე იყო, "დაკუმენტები" შარშანწინ გაუფორმესო... სხვაც რო არა იყოს რა, ესენი უნიათოები არიან, დანგრევას ვერ გაგიბედავენ, თუ არ დაგიკანონებენ, ბოლო-ბოლო, 5 ათასად გაჰყიდით და ეგ იქნებაო.

გაჯორებული მიხო უფრო გაჯორდა, ერთი თვეც გავიდა, ორი თვეც, არავინ გამოჩენილა. მესამე თვის თავზე კიდე მიუტანეს ფურცელი... აღარც წაუკითხნია, ეგრევე მოჭმუჭნა და გადააგდო, მიმტანს სიტყვა დაადევნა – თქვენი ყველაყისამო!

მეტიც!

ამან, ამ გაჯორებულმა მიხომ თანახოფლელები ჩამორეკა, მიწები შემოაღობინა, ბლოკი მოაზიდინა და მშენებლობა დააწყებინა. ყველას ეპატიჟებოდა, რაც მეტნი დასახლდებოდნენ, მით მეტ წინააღმდეგობას გასწევდნენ. გაზაფხულზე ბიჭებმა დაუძახეს, განზე გაიყვანეს, თუ "ნაციონალებში" გაწევრიანდები, ხელსაც ვერავინ გახლებს, თუ რამე, მხარში დაგიდგებითო.

მიხომ – მეც ეგ მინდაო.

იმათ – ხო იცი, სამაგიეროდ შენც უნდა დეგვეხმაროო.

მიხომ – რითა, მე რა შემიძლიანო?

იმათ – ეს ხელისუფლება უნდა დავამხოთ, როცა დაგიძახებთ, აქციებზე გამოხვალო.

მიხომ – არ არი პრობლემა, მაროსაც გავაწევრიანებ და აქციებზეც ვატარებო.

მარომ ფეხები მხრების სიგანეზე გადგა, დოინჯი შემოიყარა და დასჭყივლა – მიდით, ბიჭებო, დასცხეთ ამ წუნკლებსა, ამ სოფლელებსა, გუშინ ჩამოსულებსა, კალოშიანებსაო!

ყველაფერი ერთ საათში დამთავრდა – ცაც ჩამოინგრა და სასიამოვნო განცდებიც დაიმსხვრა. ქალაქის მაკონტროლებელი ორგანოდან "ბულდოზერით" და ყოშიანი ტრაქტორით მოვიდნენ, უკანონოდ აშენებული ქოხები უნდა დავანგრიოთო. ირგვლივ უამრავნი მოგროვილიყვნენ – სეირის მოყვარულნი, ვითომ გულშემატკივარნი, ე.წ. პოლიტიკოსნი, მოჭყლოპინე ჟურნალისტები და... იდგა ქაოსი.

ატყდა ამბავი!

"ჭუტავიზიის", "კეზერვიზიის", "გვარამვიზიისა" და "აქუვიზიის" ეთერებში მთელი დღე ქროდა რევოლუციური ქარიშხალი. აღარაფერს ვამბობ სოციალურ ქსელებზე, სადაც ერთმა ფოტომ იფეთქა "ლიმონკასავით" – მამა-შვილი იდგა საცოდავად ტლაპოში და შემოსცქეროდა ობიექტივს. მართლაც შთამბეჭდავი ფოტო იყო, ბევრს ცრემლი მოჰგვარა, ბევრს – ურვა, ბევრს კაეშანი... ბევრი კი გააბრაზა ამ ხელისუფლებაზე, მით უფრო კახი კალაძეზე...

თურმე!

მამა-შვილი სეირის საყურებლად ყოფილა მისული, სხვაგან უცხოვრიათ.

თუმცა!

ვინაიდან, ექვს შვილს მარტოხელა მამა ზრდის, კახი კალაძემ გადაწყვიტა, 4-ოთახიანი ბინაც უყიდოს და საერთოდაც დაეხმაროს. დიახ, ეს გადაწყვიტა კალაძემ... მილიონერ მამუკა ხაზარაძეს, მილიონერ ავთანდილ (ჭუტა) წერეთელს, მილიონერ (გაქსუებულ) დავით კეზერაშვილს ხმა არ ამოუღიათ, ისინი თავიანთი ტვ "უბორნიებიდან" ე.წ. ჟურნალისტების პირით ისტერიკობენ, რომ აჰა, დაინგრა ქვეყანა და სასწრაფოდ საჭიროა რევოლუცია! ხედავთ, რა დღეში ჩააგდო ჩვენი სამშობლო ბიძინა ივანიშვილმა?!

არა, ხედავთ?!

ხელახალი არჩევნებია ჩასატარებელი, ქვეყანა იღუპება!

სანამ ჭუტები, კუტები, შმუტები და ჭკმუტები არ მოვლენ ხელისუფლებაში, არაფერი გვეშველება!

მანამდე კი... ყველა გაჭირვებულს უნდა მიხედოს ბიძინა ივანიშვილმა, ყველა მშიერსა და უსახლკაროს უნდა უპატრონოს კახი კალაძემ... დანარჩენმა მილიონერებმა, ერთი თეთრიც არ უნდა გაიღონ? მათ ისე შემოსწოლიათ სამშობლოს გაჭირვებისა გამო გულზე დარდი და კაეშანი, ჯიბეში ხელის ჩაყოფის თავიც აღარ აქვთ, როცა ხელისუფლებაში მოვლენ, მერე მიხედავენ და დააპურებენ თითოეულ მოქალაქეს.

ვაი, ამათ პატრონს!

●

ჩემო ძვირფასებო, მე მოგიყევით ერთ მიხოსა და ერთ მაროზე. მოგიყევით პირობითად... თორემ ჩვენებურ აფრიკაში, ვარკეთილში, ლილოში და სხვაგანაც ბევრი მიხო და ბევრი მაროა. აი, მაგალითად, თბილისის მერიამ მეორე დღესვე გამოაქვეყნა მიტაცებულ სახელმწიფო მიწაზე მშენებარე უკანონო ნაგებობების მფლობელი "სოციალურად დაუცველი" და "უპოვარი" მოქალაქეების ვინაობა:

მოქალაქე ტ.ხ-ს ქარელის რაიონის სოფელ დირბში რეგისტრირებული აქვს 600 კვადრატული მეტრი მიწა და ამ მიწაზე განთავსებული ქონება.

მოქალაქე შ.ჯ, მცხოვრები სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირში, ფლობს 4 მსუბუქ ავტომობილს. მამას რეგისტრირებული აქვს 6000 კვ.მ. სახნავ-სათესი მიწა.

მოქალაქე დ.შ, მცხოვრები ქალაქ თბილისში, გურამიშვილის ქუჩაზე ფლობს ბინას, ასევე მამას უფიქსირდება გურამიშვილზე სამი ბინა. ოჯახი ხარაგაულში სოფელ ლეღვანში ფლობს 1255 კვ.მ. მიწის ნაკვეთს.

მოქალაქე დ.ტ თბილისში, ქიზიყის ქუჩაზე ფლობს ბინას, დედას აქვს სოფელ ჯიმითში 3302 კვ.მ. მიწის ნაკვეთი.

მოქალაქე ვ.ფ თბილისში, გუგუშვილის ქუჩაზე ფლობს 600 კვ.მ. ბინა.

მოქალაქე გ.მ თბილისში, ნავთლუღის დასახლებაში ფლობს სახლს. მამას აქვს 568 კვ.მ ფართი ნავთლუღის დასახლებაში.

მოქალაქე ნ.ბ რეგისტრირებულია კასპში, მამას აქვს კავთისხევში 1300 კვ.მ. ნაკვეთი.

აი, ესენი არიან მიხოები და... მაროები!

მე აღარაფერს ვიტყვი, ამ წერილს კახი კალაძის მცირე წერილით დავამთავრებ, დანარჩენი კი თავად განსაჯეთ... თქვენ, ვინც ამ გაზეთს კითხულობთ, გონიერი ადამიანები ბრძანდებით:

"ახლა დავბრუნდი მერიიდან და არ შემიძლია დღესვე არ დავწერო, როგორც მერმა, უკვე ვისაუბრე დღევანდელ მოვლენებზე, უბრალოდ ჩემი პირადი პოზიცია უნდა დავწერო – მედიაში რომ დაიწყეს მამა-შვილის ფოტოს გავრცელება, როგორც მსხვერპლის, გული მომიკვდა, ტყუილის ტირაჟირებისთვის ბავშვი რატომ-თქო? ისიც კი გავიფიქრე, სახე მაინც დაეფარათ, იქნებ არ უნდა ოჯახს ბიჭუნას ასე გამოჩენა-თქო... მეგონა, მაგ ზღვარს არასდროს უნდა ჩავცდეთ, რომ ანტიპიარისთვის ბავშვები გამოვიყენოთ.

მოგვიანებით, როცა გაირკვა, რომ ბავშვი და მამამისი იქვე ცხოვრობენ, ჩემი და ჩემი შვილების ფოტოები მიაშენეს მათ ფოტოს. ვერც ვბრაზდები, მგონი არც მიკვირს. ასეთ ადამიანებს რა გითხრათ სხვა? – ეგეთი ქცევა თქვენი არჩევანია. მთავარი ამჯერად ჩემთვის ისაა, რომ როცა შემიძლია დავეხმარო, ვეხმარები, ასე გამზარდეს, ასე ვზრდი ჩემს შვილებს. გმირობაა, მარტო კაცი ზრდის 6 შვილს. გმირი მამაა და ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, მხარში ამოვუდგე მას. გავარკვიე საღამოსვე, რა პირობებში ცხოვრობს და ჩემი პირადი საჩუქარი, ჩემი ოჯახის სახელით, იქნება ბინა ამ ოჯახისთვის.

ამდენი სიძულვილის, ცილისწამების და ტყუილის ფონზე ამ ოჯახის გაბედნიერებაა ჩემთვის დღევანდელი დღის შედეგი".





გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

# „არ შეიძლება, ასე არ შეიძლება! თქვენ არ შფოთდებით იმაზე, რაც ემართებათ ჩვენს ოჯახებს“

**გთავაზობთ ფრაგმენტებს ტელეინტერვიუდან, რომელიც გასულ კვირას „რუსთავი-2“-ის ეთერში გაიმართა თეა წულუკიანსა და „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტებს შორის.**

„როდესაც ნიკა გვარამია საქართველოს პრეზიდენტს, ქალს, გარკვეული ასაკის მქონე ადამიანს — ქალბატონი სალომე არ არის არც თქვენი ასაკის, არც ჩემი ასაკის, ის არის ჩვენზე ორივეზე და ბევრზე, არ გეწყინოთ ოღონდ, გამოცდილი ადამიანი და ღვაწლი აქვს მას გარკვეული, თავისი ცხოვრებისეული გამოცდილებით.

**გადაცემის წამყვანი**: ქალბატონო თეა, ამ განცხადებით გამოდის სპეცსამსახურების წახალისება თქვენი მხრიდან.

**თეა წულუკიანი**: ერთი წუთით, ნუ მაწყვეტინებთ!

გამოდის, რომ პასუხი არ გაინტერესებთ.

თქვენ მიუძღვენით გადაცემა იმ სიტყვებს, რომლებსაც, უბრალოდ, მე ვერასდროს ვერ გავიმეორებ. ვერ გავიმეორებ იმას, რაც საქართველოს პირველ ქალ პრეზიდენტს ნიკა გვარამიამ უწოდა.

შეგიძლიათ თქვენ, როგორც ქალმა, ეს სიტყვები გაიმეოროთ?

**გადაცემის წამყვანი**: თქვენ სრულიად სხვა თემაზე ლაპარაკობთ ახლა.

**თეა წულუკიანი**: არ არის ეს სხვა თემა. ჩემი განცხადება არის ამ კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხი. თქვენ გქონიათ ოდესმე რეაქცია იმაზე, რომ შეურაცხყოფილია ჩვენი, „ქართული ოცნების“ ნებისმიერი წევრის ოჯახი — ცოლი, შვილი, მოხუცი მშობლები, ქმარი, ჩვენ თვითონ, მაგრამ ჩვენ მივეჩვიეთ და, პრინციპში, არც არის პრობლემა და როცა არ კადრულობ, რომ უწოდო ის, რასაც მართლა ვერ ვიმეორებ, რაც ნიკა გვარამიამ არა მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს, არამედ ამერიკის ელჩს მიმართეს, გერმანიის ელჩს მიმართეს...

**გადაცემის წამყვანი**: ქალბატონო თეა, ნიკა გვარამია არის ჟურნალისტი, ის არის მოქალაქე, თქვენ ხართ დეპუტატი.

**თეა წულუკიანი**: მე არ ვარ მოქალაქე?

**გადაცემის წამყვანი**: თქვენი სტატუსის მქონე ადამიანისგან, ხელისუფლებას წარმოადგენთ, ხომ, ამ შემთხვევაში, რამდენად სწორად გეჩვენებათ ასეთი განცხადების გაკეთება.

**თეა წულუკიანი**: თქვენს სტატუსზე ვისაუბროთ.

თქვენ ჟურნალისტი ბრძანდებით და გაქვთ ძალიან დიდი პასუხისმგებლობა. თქვენ გაქვთ სტატუსი და ამაზე მაღალი სტატუსი, მედიაპლურალიზმისა და დემოკრატიული საზოგადოებისთვის, ალბათ, ცოტაა და რას ნიშნავს: თქვენ ამართლებთ ნიკა გვარამიას თავდასხმებს პრეზიდენტზე, ამერიკის ელჩზე?

**გადაცემის წამყვანი**: თქვენი პასუხი მაინტერესებს.

**თეა წულუკიანი**: ჩემი პასუხი არის ძალიან რბილი, ზრდილობიანი ამ კასკადზე, რომელიც არ მთავრდება და მივიდა იქამდე, რომ ანტიგერმანულ გამონათქვამებს მივაღწიეთ საქართველოში.

ეს არის სირცხვილი.

**გადაცემის წამყვანი**: თქვენი განცხადებები არ იყო სპეცსამსახურების წახალისება?

**თეა წულუკიანი**: ეს არის ტყუილი. ვის რაში სჭირდება ეს ადამიანი, რომ ვინმემ უთვალთვალოს? ეს არის ტყუილი და როდესაც არ რეაგირებთ იმაზე, რასაც ეს ადამიანი აკეთებს და აქ, ღია ეთერში მეუბნებით, რომ, მერე რა მოხდა, ის ჟურნალისტიაო, ანუ, რას ნიშნავს ეს — ჩვენ გვაქვს პასუხისმგებლობები და თქვენ არა გაქვთ პასუხისმგებლობები?

**გადაცემის წამყვანი**: მოქალაქე არის მოქალაქე, ჟურნალისტი არის ჟურნალისტი, დეპუტატს, ალბათ, სხვა თმენის ვალდებულება აქვს.



**თეა წულუკიანი**: ანუ, რას მეუბნებით — ჩემს მოხუც მშობლებს აქვთ თმენის ვალდებულება, როდესაც ისინი არ გახლავან პოლიტიკოსები და დეპუტატები?!.

თქვენ მე მეუბნებით, ჟურნალისტი, ამხელა არხის და მე გპასუხობთ: ჩვენს ოჯახებს რომ თავს ესხმიან, ეს არა უშავს, მისი ოჯახის წევრს რომ ვიღაც მზეთუნახავს ეძახის, ამან აღგაშფოთათ?! მაშინ გაიმეორეთ ის სიტყვა, რაც ნიკა გვარამიამ უწოდა სალომე ზურაბიშვილს. გაიმეორეთ! ანტიგერმანული გამონათქვამები ისმის და სად ხართ, მედია. ეს არის სირცხვილი და თავის მოჭრა ქართველი ერისთვის. გერმანელები, რომლებიც ჩვენ, ახლიდან რომ დავიბადეთ, 90-იან წლებში, მათი წყალობით, ამერიკელების წყალობით, ევროკავშირის წყალობით ვდგავართ ფეხზე, კოდექსები რომ გვაქვს, თედო ნინიძესთან, ჯონი ხეცურიანთან, ლადო ჭანტურიასთან ერთად. გერმანელებმა, თავიანთი ჯიბიდან ფული ამოიღეს და ჩვენ მოგვცეს, როცა გვშიოდა და კანონები არ გვქონდა. დღეს ანტიგერმანულ გამონათქვამებს ვისმენთ.

მაპატიოს ქალბატონმა სალომემ, ხანდაზმულ პრეზიდენტს გაუგონარ სიტყვებს უწოდებენ და ამაზე რეაქცია არ გაქვთ.

მაპატიეთ, ძალიან გამანერვიულეთ.

თქვენ, ქალი ჟურნალისტი ბედავთ და ამბობთ: მერე რა მოხდა — ნიკა გვარამია ჟურნალისტია. მერე რა მოხდა, რომ ჩემს მოხუც მშობლებს, ავადმყოფებს და მერე ახლადდაქვრივებულ ქალს ბინაში უვარდებიან.

მე თმენის ვალდებულება მქონია, დიახ და მე რომ ვითმენ, იმდენი თქვენ არასდროს მოგითმენიათ, წარმშეუხრელად ვითმენ.

კეთილი ინებეთ და ნუ აღშფოთდებით, იმიტომ რომ, გვარამია აღშფოთდა.

თქვენ ჩვენ დაგიბრუნეთ ის, რაც გეკუთვნოდათ — „რუსთავი-2“ ეკუთვნოდა ხალხს, მის მესაკუთრეს, ამაში იუსტიციის სამინისტროს ტიტანური შრომა დევს. მე თქვენგან მაქვს იმის მოლოდინი, რომ იდგებით სიმართლის და სამართლიანობის სადარაჯოზე, იმიტომ რომ, მე ტყუილად კომპლიმენტებს არ ვარიგებ.

მეორე წამყვანი: ქალბატონო თეა, თქვენ როგორ დაგვიბრუნეთ, „რუსთავი-2“ დაგვიბრუნა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებამ...

**თეა წულუკიანი**: ჩვენ ამისთვის ძალიან ბევრი ვიშრომეთ.

მაგრამ არ შეიძლება ასე, არ შეიძლება. თქვენ არ შფოთდებით იმაზე, რაც ემართება ჩვენს ოჯახებს. არ მინდა ახლა ბიძინა ივანიშვილი ვახსენო, იმიტომ რომ, დაიწყება მერე, ივანიშვილი ახსენაო, არადა, ეს ტაბუ მკვიდრდება 8 წელია.

ბიძინა ივანიშვილის ოჯახი, ქალიან-კაციანა რა წუმპესაც იტანს, მესმის, რომ ბიძინა ივანიშვილი არის პოლიტიკური ფიგურა და მასზე არის თავდასხმა, მეც ვარ იქ, სადაც ვიყავი და რასაც მე ვიტან, არ გისურვებთ და ეს ჩემი ვალია, კი, ბატონო, მაგრამ ოჯახებზე როცა ხდება თავდასხმა. პატარა ბავშვებს როცა სახლში უვარდებიან.

საერთოდ არ იცის ჩემა სამი წლის ძმის შვილმა, მე რა საქმიანობით ვარ დაკავებული, რაღაცას კი ხვდება, ხანდახან ტელევიზორს რომ უყურებს, მაგრამ, როცა მას სახლში უვარდება ტვ-პირველი და მერე თუ ჩემი პიარი არ დარეკავს და მორიდებულად არ სთხოვს, დაბინდეთ სახეებიო, სახეებსაც არ ბინდავენ და როცა მე ვამბობ ირონიულად, რომ მზეთუნახავია გვარამიას ცოლი, თქვენ ამით ხართ აღშფოთებული და რაც ქალბატონ სალომეს უწოდეს, იმით არ ხართ აღშფოთებული და მეუბნებით, რა მოხდა, ჟურნალისტია და შენ დეპუტატი ხარო. ვინ თქვა, რომ დეპუტატი უუფლებოა, ან მინისტრი?!

ჟურნალისტს აქვს ვალდებულებები, უფლებები და ძალიან დიდი თხოვნა მექნება, იმიტომ რომ, ეს არხი მართლა, მე რასაც ვუყურებ, თუ არ მეშლება, ნელ-ნელა ჩამოყალიბდა, მიუხედავად ბნელი წარსულისა, სანამ კანონიერება და სამართლიანობა აღდგებოდა, რესპექტაბელურ არხად. იქნებ, რაღაცნაირად, ბოდიშს ვიხდი, რომ იდეას გაწვდით — ამ თემებზე გამართოთ დისკუსია — რა, როგორც გვარამია იტყოდა, მოსულა და რა არ მოსულა. მისი ოჯახი ოჯახია და სხვისი ოჯახი ოჯახი არ არის?! მისი ცოლი ცოლია და სხვისი ცოლი ცოლი არ არის?! ამას უწყობთ წელს თქვენ?! თორემ მე დამესხით თავს, რამდენიც გინდათ. ეს არის ჩემი ყოველდღიურობის ნაწილი, მე მაქვს თმენის ვალდებულება და ვითმენ.

თქვენ გინახავთ, რომ მე ოდესმე დამეწუწუნოს — ცუდად მომექცნენო?! გინახავთ ეს?!

თქვენ ბიძინა ივანიშვილის ოჯახს არ იცავთ.

თქვენ სალომე ზურაბიშვილის შვილებს არ იცავთ.

თქვენ იცავთ მხოლოდ ნიკა გვარამიას მეუღლეს.

თქვენც გამოტოვეთ ყველა ის უბედურება, რაც ხდება ქალების წინააღმდეგ..

მე ეკა ტიკარაძეზე შემიძლია დისერტაცია დაგიწეროთ ზეპირად, მაგრამ ამის დრო თქვენს ეთერში არ არის. ეს ქალი არის მუდმივი ბულინგის მსხვერპლი. ბევრი კაცი ვერ გაუძლებდა იმას, რასაც ის უძლებს, ამ დიდი უბედურების პირობებში.

სახლში მივარდნებით დაწყებული და ბევრი სხვა რამით დამთავრებული და ამ დროს სიტყვა მზეთუნახავი გეწყინათ? — ძალიან რომანტიული სიტყვაა და მე ვაგრძელებ იმ განცხადებას თავისუფლების ფარგლებში, რაც აქვს დეპუტატს, მე ეს გავაგრძელო!.“

როგორც ვთქვით, ეს დიალოგი გაიმართა გასულ კვირას „რუსთავი-2“-ის ეთერში ირაკლი იმნაიშვილს, თამარ ურუშაძესა და თეა წულუკიანს შორის.

იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა, ამჟამად კი პარლამენტარმა და ერთ-ერთი საკვანძო კომიტეტის თავმჯდომარემ ქალბატონმა თეა წულუკიანმა ამ ინტერვიუში ისეთი თემები წამოსწია წინ, რომლებიც ქართველ საზოგადოებას და მათ შორის „საერთო გაზეთსაც“ დიდი ხანია აწუხებს.

გაგიკვირდებათ ქალბატონო თეა და თემებზე, რომლებზეც თქვენ ასეთი გულისტკივილით ილაპარაკეთ, ათი წელია „საერთო გაზეთი“ სისტემატურად წერს, თუმცა ამის შესახებ შეიძლება სახელისუფლო წრეებმა ნაკლებად იციან.

„საერთო გაზეთის“ წაკითხვა-არწაკითხვაში კი არ არის საქმე, საკითხი უფრო ღრმა და სერიოზულ პრობლემებშია, რომლებიც ქართული სახელმწიფოს წინსვლასა და განვითარებას აფერხებს, ზოგ შემთხვევაში კი იმ საძირკველს ანგრევს, რაზეც დგას სახელმწიფო, რაზეც დგას ჩვენი იდენტობა.

თქვენ აღშფოთებული ხართ და აბსოლუტურად სამართლიანადაც, რომ დღეს დაუმსახურებელი ლანძღვა-გინებისგან, ცისლისწამებისგან, შურაცხყოფისგან, ღირსების შელახვისაგან დაუცველია ყველა და იქვე საყვედურსაც ამბობთ: რატომ არ იცავთ ჩვენს ოჯახებს, რომლებსაც არაფერი დაუშავებიათ, რატომ არ იცავთ ბიძინა ივანიშვილს და მის ოჯახს, რატომ არ იცავთ სალომე ზურაბიშვილს და მის შვილებს?

ვიცავთ, ქალბატონო თეა, ვიცავთ და როცა ამას ვაკეთებთ, იქვე იმაზეც მივუთითებთ და იმაზეც ვლაპარაკობთ, საიდან მოდის ეს ნამდვილი ეროვნული უბედურება.

ამ უბედურების ერთ-ერთ წყაროს ახლავე დაგისახელებთ — „კანონი პრესის შესახებ“, რომელიც სააკაშვილმა დაგვიტოვა „ანდერძად“.

ძალიან ვრცელი თემაა ეს, ბევრი ნიუანსით, ბევრი განშტოებით, ამიტომ გადავწყვიტეთ, ყურად ვიღოთ თქვენი რჩევა და ამ თემის გარშემო „საერთო გაზეთის“ მომდევნო ნომრებში საუბარი გავაგრძელოთ.

თქვენი თქმისა არ იყოს, მართლაც არ შეიძლება ასე გაგრძელდეს.

მოხარული ვიქნებით, თუ ამ დისკუსიას თქვენც შემოუერთდებით...

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# დონალდ ტრამპი არჩევნების შედეგს არ ცნობს და თეთრი სახლის დატოვებასაც არ აპირებს

შეასრულებს დანაპირებს და დატოვებს თუ არა თეთრ სახლს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დონალდ ტრამპი, გაურკვეველია. ნოემბრის მიწურულს ჟურნალისტებს ტრამპმა განუცხადა, რომ მზად არის, დატოვოს თეთრი სახლი, თუ ამომრჩეველთა საბჭოს კოლეგია, მისი აზრით, შეცდომას დაუშვებდა და პრეზიდენტად ჯო ბაიდენს დაასახელებდა. გასულ კვირას ამომრჩეველთა საბჭოს კოლეგიის 309 წარმომადგენელმა აშშ-ის 46-ე პრეზიდენტად ჯოზეფ ბაიდენი აღიარა. დონალდ ტრამპს 232 ხმა ერგო. აღსანიშნავია, რომ ბაიდენს 270 ხმაც ყოფნიდა, მაგრამ დემოკრატიული პარტიის წევრებმა თავი დაიზღვიეს. კოლეგიის ვერდიქტის მიუხედავად, დონალდ ტრამპი დამარცხებას კვლავ არ აღიარებს. უფრო მეტიც, გავრცელებული ინფორმაციით, კონტრშეტევაზე გადასვლას აპირებს. თუმცა როგორ, უცნობია.

ვიდრე ამომრჩეველთა საბჭოს კოლეგიის სხდომა გაიმართებოდა, რამდენიმე დღით ადრე დონალდ ტრამპმა მოსახლეობას მიმართა. პრეზიდენტმა ფართოდ ისაუბრა დემოკრატების მხრიდან მასზე განხორციელებულ შეტევებზე, გაყალბებულ არჩევნებზე... „სპეცპროკურორმა მიულერმა, რომელიც რუსეთთან ჩემს კავშირს ეძებდა, 49 მილიონი დახარჯა, თუმცა უშედეგოდ. ეს ხომ თქვენი, გადასახადების გადამხდელების ფული იყო, რაც გაიფლანგა. ამაზე ყველამ თვალები დახუჭა“, — თქვა დონალდ ტრამპმა. მისივე განცხადებით, აქვთ არჩევნების გაყალბების უამრავი ფაქტი, რის შესახებაც ამერიკული პრესა შეგნებულად დუმს, არ ასაჯაროებს. ექსპერტები გაოცებას ვერ მალავენ, რატომ იკავებს ტრამპი თავს ფაქტების გასაჯაროებისგან, რადგან დუმილი მის წინააღმდეგ მუშაობს. დონალდ ტრამპის გამოსვლა 46 წუთს გრძელდებოდა. უცნაურია, რომ პრეზიდენტის გამოსვლის სრული ვერსია ტელევიზიებს არ გადაუციათ, მხოლოდ სოციალური ქსელების მეშვეობით გავრცელდა. ამიტომაც მიაჩნიათ პოლიტოლოგებს, რომ აშშ-ში საინფორმაციო დიქტატურა დამყარდა გიგანტი სოცქსელების მეთაურობით. „ფრთხილად, ტრამპი კლავს!“ — ასეთი მყვირალა სათაურით გამოვიდა აშშ-ში გაზეთები. პრესამ ყურადღება იმ ფაქტზე გაამახვილა, რომ ტრამპმა მადლიერების დღეს არ შეიწყალა მძიმე დანაშაულებისთვის სიკვდილმისჯილი ტუსაღი. განვლილ, ფაქტობრივად, გაყალბებულ საპრეზიდენტო არჩევნებზე და ხმის დათვლის პროცედურაზე კი დუმილს ამჯობინებენ.

საკუთარი პრობლემების მიუხედავად, დონალდ ტრამპი ჯორჯიის შტატში ჩავიდა თანაპარტიელების მხარდასაჭერად, რომლებიც სენატის არჩევნებში მონაწილეობენ. მხარდამჭერებთან შეხვედრაზე სიტყვით პირველი მელანია გამოვიდა. თავიანთ გამოსვლებში დონალდმა და მელანიამ ძირითადად გაყალბებულ არჩევნებზე ისაუბრეს. ჯო ბაიდენის განცხადების მიუხედავად, რომ პოლიტიკური ნიშნით არავის დევნას არ დაიწყებს, ივანკა ტრამპი პროკურატურაში დაიბარეს იმ მიზეზით, თითქოს მან წინასაარჩევნო პერიოდში 1 მილიონი დოლარი არამიზნობრივად დახარჯა. გამოკითხვა თითქმის 5 საათს გრძელდებოდა. დონალდ ტრამპის მომხრეებმა ივანკას პროკურატურაში დაბარება შურისძიებად შეაფასეს — ჯო ბაიდენი თავის შვილზე აგორებული სკანდალის გამო სამაგიეროს უხდის ტრამპს. თუმცა ივანკას გამოკითხვას გაგრძელება არ მოჰყოლია.





სკანდალური აღმოჩნდა ტეხასის შტატის მთავარი პროკურორის მოქმედება, რომელმაც უმაღლეს სასამართლოს ოფიციალურად მიმართა, გააუქმონ გაყალბებული არჩევნების შედეგები. ტეხასის პროკურორს 18 შტატის კოლეგამ დაუჭირა მხარი. მათი ძირითადი მოთხოვნა სიმართლის დადგენა იყო — ტრამპის დამარცხებას მხოლოდ სამართლიანი არჩევნების შედეგად აღიარებდნენ. უმაღლეს სასამართლოში კი მიიღეს საჩივრები, მაგრამ არსებით განხილვაზე უარი განაცხადეს, არასაკმარისი დამამტკიცებელი ფაქტების მიზეზით. თუმცა, რესპუბლიკელებს აქვთ უამრავი ვიდეოჩანაწერი, მოწმეების ჩვენებები და ა. შ. ექსპერტების შეფასებით, მოსამართლეებს შეეშინდათ, კანონზე წინ საკუთარი უსაფრთხოება დააყენეს. უმაღლეს სასამართლოში 9 მოსამართლიდან 6 რესპუბლიკელების მხარდამჭერია, 3 კი თავად დონალდ ტრამპის დანიშნულია. „...ჩვენ დავამტკიცეთ რომ არჩევნები გაყალბებულია, წარვადგინეთ ფაქტები, მაგრამ მოსამართლეებს არ ეყოთ სითამამე, სიმართლე ეღიარებინათ“, — განაცხადა განრისხებულმა დონალდ ტრამპმა.

არანაკლებ სენსაციური აღმოჩნდა ტრამპის გადაწყვეტილება, რომელმაც თანამდებობიდან გადააყენა აშშ-ის გენერალური პროკურორი უილიამ ბარი. როგორც გაირკვა, პროკურორმა ჯერ კიდევ 2018 წელს იცოდა ჯო ბაიდენის შვილის, ჰანტერის ფინანსურ მაქინაციებში მონაწილეობის შესახებ, ამის გამო მოკვლევაც კი იყო დაწყებული, მაგრამ საზოგადოებას უმალავდა და არც საქმისთვის მიუცია მსვლელობა. ეს მაშინ, როდესაც უილიამ ბარი რესპუბლიკური პარტიის მომხრედ და დონალდ ტრამპის მოკავშირედ ითვლებოდა. ახალმა გარემოებამ ტრანპი გააცოფა. მისი განცხადებით, მოსახლეობას ჰანტერის ფინანსურ მაქინაციებზე არჩევნებამდე არა პრესის, არამედ გენპროკურორისგან რომ გაეგო, სულ სხვა შედეგი დადგებოდა.

პრეზიდენტის პოსტის ოფიციალურად დასაკავებლად ჯო ბაიდენს კიდევ ერთი პროცედურის გავლა მოუწევს — 6 იანვარს სენატმა და კონგრესმა ის თანამდებობაზე უნდა დაამტკიცოს და ამის შემდეგ შეუდგება ის ოფიციალურად მოვალეობის შესრულებას. თუმცა, არსებობს მნიშვნელოვანი ნიუანსი, რაც ინტრიგას ტოვებს. თუ თუნდაც ერთი სენატორი და ერთი კონგრესმენი იქნება წინააღმდეგი და არ აღიარებს არჩევნების ლეგიტიმურობას, შესაძლოა მოხდეს ამომრჩეველთა კოლეგიის გადაწყვეტილების ანულირება. სენატსა და კონგრესში არიან რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები, რომლებიც უკვე ღიად აფიქსირებენ, რომ არ აღიარებენ არჩევნებს. ეს გარემოება მცირე შანსს უტოვებს დონალდ ტრამპს, შეინარჩუნოს თანამდებობა. თუმცა, როგორ განვითარდება მოვლენები 6 იანვარს, წინასწარ ძნელია პროგნოზირება.

რესპუბლიკელები ამომრჩეველთა ალტერნატიული კოლეგიის შექმნას აპირებენ. იმ შემთხვევაში, თუ ისინი გამარჯვებულად ტრამპს დაასახელებენ, პარტია ოფიციალურ საჩივარს შეიტანს უმაღლეს სასამართლოში. რას მოიმოქმედებენ რესპუბლიკელები, მომავალში გამოჩნდება. გავრცელებული ინფორმაციით, დონალდ ტრამპი ჯო ბაიდენის ინაუგურაციას არ დაესწრება. იგი ფლორიდაში, საკუთარ სახლში აპირებს წავლას, სადაც 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მზადებას დაიწყებს. ჯო ბაიდენის ინაუგურაცია პანდემიის გამო მოკრძალებული იქნება, სტუმრების გარეშე. თუ ტრამპი მართლა უარს იტყვის ინაუგურაციაზე დასწრებაზე, ეს აშშ-ის ისტორიაში პირველი შემთხვევა იქნება, როდესაც წამსვლელი არ დახვდება ახალ პრეზიდენტს თეთრ სახლში.

იმის შესახებ, რომ მოსახლეობა აშშ-ში ორად არის გახლეჩილი, უკვე ღიად საუბრობენ ამერიკელი პოლიტოლოგები. მათ უჭირთ იმის თქმა, თუ რა ფასეულობებს შეუძლია გაყოფილი საზოგადოების გაერთიანება. არაეფექტურად აღიარებენ დღეს არსებულ საარჩევნო სისტემას. მათ აზრს იზიარებს ჰილარი კლინტონი, რომლის აზრითაც, პრეზიდენტს ხმების უმრავლესობით მოსახლეობა უნდა ირჩევდეს და არა ამომრჩეველთა კოლეგია. პოლიტიკური დაპირისპირება ქვეყანაში კი სულ უფრო მწვავდება. რესპუბლიკელები და დემოკრატები ერთმანეთს არამზადებს უწოდებენ, რაც ორივე პარტიის იმიჯს აკნინებს.

ახალმა, აშშ-ის 46-ე პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა პირველი 100 დღის სამუსაო გეგმა კი წარადგინა, მაგრამ კონკრეტულად რას აპირებს, უცნობია. საერთოდ, ბუნდოვანია აშს-ის საგარეო კურსი. პოლიტოლოგები მხოლოდ ფრთხილად ვარაუდობენ, როგორი შეიძლება იყოს მომავალი სამოქმედო გეგმები. ქვეყნის შიგნით ჯო ბაიდენი ძირითად აქცენტს სხვადასხვა უმცირესობებზე აკეთებს. „...ჩემთვის დიდი პატივია, თქვენი მოკავშირე ვიყო“, — მიმართა მან უმცირესობების წარმომადგენლებს CNN-ის ეთერიდან, სადაც კვლავ ჩასთვლიმა. უცნაური ტენდენცია იკიდებს ფეხს აშშ-ში. დამსაქმებლები სამუშაოზე მიღებისას უპირატესობას ძირითადად შავკანიანებს, ლათინოამერიკელებს, გეებს, ლესბოსელებს და სხვა უმცირესობების წარმომადგენლებს ანიჭებენ.




უდავოდ, საინტერესოა აშშ-ის პოლიტიკური მომავალი, რადგან მასზეა დამოკიდებული სამყაროს მომავალი, მათ შორის — ჩვენი ქვეყნისაც.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# რას განასახიერებს ნაძვის ხის კენწეროზე დამაგრებული ვარსკვლავი?

ახალი წლის შემობრძანებამდე სულ რამდენიმე დღე დარჩა. ბევრმა ჩვენგანმა საახალწლო ნაძვის ხის მორთვა უკვე მოასწრო, ზოგი კი ამ მნიშვნელოვანი პროცესისთვის ახლა ემზადება, თუმცა ძალიან ცოტაა ისეთი, ვინც იცის, რა სიმბოლური დატვირთვა აქვს ნაძვის ხის კენწეროზე ახალი წლის აუცილებელი ატრიბუტის- ვარსკვლავის დამაგრებას და ნაძვის ხის ძირში საჩუქრების დაწყობას.

სინამდვილეში, ეს მხოლოდ ტრადიცია კი არა, 2000 წლის წინ დაბადებული იესო ქრისტეს სიმბოლური თაყვანისცემაა. იმის მიუხედავად, მართლმადიდებლურია თუ კათოლიკური, ევროპულ ტრადიციებში ახალი წელი ქრისტეს შობის დროს აღინიშნება. (კათოლიკებში 25 დეკემბერს, მართლმადიდებლებში 7 იანვარს), ამიტომ ქრისტიანული სამყაროსთვის ნაძვის ხის წვერზე დამაგრებული ატრიბუტი სიმბოლურად, ბეთლემის ვარსკვლავს განასახიერებს, სადაც იესო დაიბადა.

ძველ დროს, ხალხს სწამდა, რომ დიდი ადამიანების დაბადებასა და გარდაცვალებას თან სდევდა ცაზე მანათობელი ვარსკვლავის გამოჩენა ან გაქრობა. სწორედ ამიტომ, მოელოდნენ რა ღვთის განგების აღსრულებას, მოგვები ცაზე მანათობელის გამოჩენას ელოდნენ. როცა ვარსკვლავი შენიშნეს, მიხვდნენ, რომ კაცობრიობის მხსნელი უკვე დაიბადა და მაშინვე იუდეველთა სამეფოს დედაქალაქისაკენ გამოეშურნენ, რათა თაყვანი ეცათ ახალშობილი მაცხოვრისთვის.

ამ დროიდან მოყოლებული, ადამიანებისთვის რვაქიმიანი ვარსკვლავი ქრისტეს შობის, მოგვიანებით კი ახალი წლის სიმბოლო გახდა. საახალწლო ვარსკვლავი წინასწარმეტყველების ასრულებისა და საყოველთაო სიხარულის სიმბოლოა. ამიტომ, მორწმუნე ადამიანისთვის ეს სიმბოლო კეთილდღეობასთან, სიყვარულთან და ადამიანების დაახლოებასთან ასოცირდება.

ცნობილია, რომ მოგვებმა ახალშობილ იესოს საჩუქრები მიართვეს, რითაც უფლისა და წინასარმეტყველების პატივისცემა გამოხატეს. სწორედ ამას უკავშირდება ვარსკვლავით დამშვენებული ხის ქვეშ საჩუქრების დაწყობის ტრადიცია, რაც სიმბოლურად ღმერთისთვის საჩუქრის მირთმევას განასახიერებს.




რაც შეეხება ახალი წლის სიმბოლოს, არსებობს ლამაზი ლეგენდა, რომ შობის ღამეს ყველა მცენარე ახალშობილი იესოსთვის თაყვანის საცემად გაეშურა. დანიშნულების ადგილზე პირველი ბეთლემის სიახლოვეს მზარდი პალმა მივიდა. მას კიპარისები, ტირიფები, მუხები და სხვა ხეები მიჰყვნენ. ყველაზე ბოლოს შორეული ჩრდილოეთიდან მოსული ნაძვი გამოჩნდა. ადრე მოსულმა ხეებმა ნაძვი იესომდე არ მიუშვეს, მაგრამ ამ დროს, ციდან ვარსკვლავებმა იწყეს ცვენა. იესოს უკანასკნელი სტუმარი ათასფრად მოციმციმე ვარსკვლავებით დაიფარა და ირგვლივ მყოფი ყველა ხე დაჩრდილა.

ზუსტი თარიღი, როცა ნაძვი ახალი წლის სიმბოლოდ იქცა, უცნობია, თუმცა ვარაუდობენ, რომ ეს გერმანიის ტერიტორიაზე მოხდა.

მოგვიანებით, გერმანელებისგან ტრადიცია ჰოლანდიელებმა და ინგლისელებმა გადაიღეს. XVI საუკუნეში ნაძვი ოფიციალურად, ახალი წლის სიმბოლოდ იქცა. თავიდან მას ვაშლებით, მსხლებით და კაკლებით რთავდნენ, რაც უკავშირდებოდა თქმულებას, რომ იესო ქრისტეს დაბადების დღეს, ყველა ხე ერთბაშად აყვავდა და ნაყოფი მოისხა. დროთა განმავლობაში, ნაძვის ხე გაცილებით დახვეწილი და ესთეტიურად მიმზიდველი გახდა. ქალაქის მოედანზე საახალწლოდ მორთული პირველი ნაძვის ხე XVII საუკუნის მეორე ნახევარში, საქსონიის ქალაქ ჰანოვერში გამოჩნდა. XIX საუკუნიდან შობას და ახალ წელს ნაძვის ხის მორთვის ტრადიცია მთელ ევროპაში გავრცელდა. 1818 წელს უნგრეთში, 1820 წელს ჩეხეთში, 1829 წელს სკანდინავიაში.

პირველი საზოგადოებრივი ნაძვის ხე საფრანგეთში 1840 წელს, ლუი ფილიპის მეფობის დროს გამოჩნდა.

ინგლისში ნაძვის ხის მორთვის ტრადიცია 1841 წელს დედოფალი ვიქტორიას ქმრის მცდელობით დამკვიდრდა. სულ რაღაც 10 წლის შემდეგ, სამეფო ოჯახის მსგავსად, საახალწლოდ ნაძვის მორთვის ტრადიცია მთელმა ინგლისმა აიტაცა.

ნაძვის ხის მორთვის ტრადიცია ამერიკაში გერმანელმა ემიგრანტებმა დაამკვიდრეს.



რუსეთში საახალწლო ნაძვის ხის ტრადიციის დამკვიდრება ჯერ კიდევ პეტრე პირველმა სცადა, თუმცა ამ ტრადიციამ მხოლოდ 100 წლის შემდეგ მოიკიდა ფეხი. რუსეთში ნაძვის მორთვა XIX საუკუნეების შუა ხანებიდან დაიწყეს. თავდაპირველად ამას გერმანულ ოჯახებში აკეთებდნენ, რომლებიც მრავლად იყო როგორც პეტერბურგში, ისე – მოსკოვში. შემდეგ ახალი ჩვეულება რუსებს შორისაც გავრცელდა.

სავარაუდოდ, საახალწლოდ ნაძვის ხის მორთვის ჩვეულება საქართველოში რუსეთიდან შემოვიდა. ახალ წელს ახლდა მისი აუცილებელი ატრიბუტი – ჩიჩილაკი, რომელსაც „ბასილას წვერებსაც“ ეძახდნენ. ჩიჩილაკის მეორე სახელი წმინდა ბასილის სახელს უკავშირდება და ბუნებრივია, ქრისტიანობის ხანაში უნდა დამკვიდრებულიყო.

და ბოლოს, ქრისტიანულ რელიგიასთან დაკავშირებული კიდევ ერთი საახალწლო სიმბოლო- თეთრწვერა მოხუცი, კეთილი სანტა-კლაუსია, რომლის მოსვლას ყოველ შობა-ახალ წელს მილიონობით ბავშვი ელოდება. ბევრმა შეიძლება არ იცოდეს, რომ თანამედროვე სანტა კლაუსის სახე ქრისტიანულ სასწაულმოქმედ წმინდანს ნიკოლოზს უკავშირდება.

წმიდა ნიკოლოზი ქალაქ პატრაში მღვდლად მსახურობდა, როცა შეიტყო, რომ ერთმა ღატაკმა, რომელსაც სამი ქალიშვილი ჰყავდა და მათი გამზითვება და გათხოვება არ შეეძლო, მათი საროსიკოპოში გაგზავნა და ამ გზით გამდიდრება გადაწყვიტა. ქალწულები ტირილით ევედრებოდნენ უფალს ამ საშინელი ხვედრისაგან გამოხსნას. ღმერთმა მათ დამხმარედ მღვდელი ნიკოლოზი მოუვლინა, რომელიც სამჯერ მივიდა ღატაკის სახლთან და ყოველ მისვლაზე, კარის ზღურბლთან ოქროთი სავსე ქისა დატოვა. ღატაკმა სამივე ქალიშვილის გამზითვება და გათხოვება შეძლო. ამგვარად იხსნა წმიდა ნიკოლოზმა სამი ქალწული და მათი მამა საშინელი განსაცდელისაგან. წმიდა ნიკოლოზის ცხოვრების ამ ეპიზოდმა განაპირობა სანტა კლაუსის დამკვიდრება დასავლურ ტრადიციაში.

**ნატა შამუგია**






# დედამიწა მეხუთე განზომილებაში გადავიდა – იწყება აღმავლობის დიადი ეპოქა

მიმდინარე წლის მნიშვნელოვანი მოვლენა გახლავთ დედამიწის მეხუთე განზომილებაში გადასვლა. ასტროლოგ ქეთი ვაწაძის განცხადებით 2020 წლის 21 დეკემბერს მოხდა უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რომელსაც ეპოქალური მნიშვნელობა ენიჭება სამყაროში, 21 დეკემბერი ისედაც მნიშვნელოვანი დღეა, რადგან გვაქვს ზამთრის ბუნიაობა – მზე თავისი უკიდურესად დაბალი წერტილიდან ალმავალ ფაზაში გადადის, ანუ ასრულებს თავის ერთწლიან ასტროლოგიურ ციკლს და "კვდება", რათა შემდეგ კვლავ დაიბადოს და მომდევნო წრეზე წავიდეს, ეს ყველამ ვიცით, მაგრამ წელს, ამას ემატება ისიც, რომ 21.12.2020 ცაზე, მერწყულის ნიშანში ერთმანეთს შეუერთდა ორი გიგანტი პლანეტა, სატურნი და იუპიტერი, რომელიც განსაზღვრავს უახლოესი ოცი წლის ტენდენციებს. ეს მოვლენა ასტროლოგიაში აგრეთვე, დიდი მუტაციის სახელწოდებითაა ცნობილი. შეერთება მოხდა 22:21 წუთზე თბილისის დროით, მერწყულის ნულ გრადუსზე. ასტროლოგიაში სატურნს და იუპიტერს "დროის გამგებლის", "დიდი ქრონოკრატორების" სახელწოდება აქვთ მინიჭებული და სწორედ იუპიტერისა და სატურნის ციკლების საფუძველზე ქმნიდნენ ძველი ასტროლოგები ახალი იმპერიებისა და მეფეების დაბადების, ან გარდაცვალების, იმპერიის დაცემის წინასწარმეტყველებებს. ასე მაგალითად, ქრისტეს დაბადებამდე ბევრად ადრე, მოგვებს უკვე ჰქონდათ ცოდნა კაცობრიობის სულიერების განვითარებაში ახალი, უმნიშვნელოვანესი ეპოქის დაწყებაზე, რომ ბეთლემის ვარსკვლავი, რომელსაც სამყაროსთვის უნდა ემცნო კაცობრიობის მხსნელის, უდიდესი მისიის ღმერთ-კაცის დაბადება, სავარაუდოდ, მარტო იუპიტერისა და სატურნის შეერთებისას მოხდებოდა და ეს შეერთება, მართლაც, მოხდა თევზების ნიშანში, თევზები, კი სწორედ სულიერ სფეროს, უპირობო, სამყაროსეულ სიყვარულს განაგებს. სხვა დროს, ასეთი სამყაროსეულად მნიშვნელოვანი მოვლენა კოსმოსთან შესაბამისობის გარეშე უბრალოდ ვერ მოხდებოდა. ამჟამად, სატურნი და იუპიტერი, რომლებიც აქამდე, ანუ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან მიწის სტიქიაში ხვდებოდნენ ერთმანეთს (1802 წლიდან), მომდევნო შეერთებებს მხოლოდ ჰაერის სტიქიის ნიშნებში განახორციელებენ.



მოსალოდნელია მერწყულისეული თემების უფრო მეტად გაძლიერება – წინა პლანზე წამოვა როგორც ტექნოლოგიები და ინოვაციები, ასევე შესაძლოა მოხდეს ბევრი მოულოდნელობა, არსებული სისტემის შეცვლა, რეფორმები, კულტურული და ეკონომიკური რევოლუცია, რელიგიური პარადიგმის ცვლა... ხოლო, რაც ეხება იუპიტერისა და სატურნის დიდ ციკლს – ის დაახლოებით 960 წელში ერთხელ ხდება. ამიერიდან, თანდათანობით ყველაფერი შეიცვლება. აღარ იქნება სამყარო ისეთი, როგორიც აქამდე იყო!

ამ ყველაფერზე დაყრდნობით, მოსალოდნელია საზოგადოებაში თანდათან მოხდეს მასშტაბური ტრანსფორმაცია, მომავალში ჩვენთვის უფრო ფასეული გახდება ინფორმაციული და ინტელექტუალური შრომა და მისი პრაქტიკული გამოყენება, ვიდრე მატერიალური საგნები, წარსულს ჩაბარდება დიქტატურა და ტოტალიტარული რეჟიმები, ადამიანებისთვის მნიშვნელოვანი გახდება მომავალი და მასზე ზრუნვა, წინა პლანზე წამოიწევს ეკოლოგიის საკითხები, მნიშვნელოვან ცვლილებას განიცდის განათლების სისტემა, თითოეულ ადამიანს ექნება შესაძლებლობა განვითარდეს როგორც ინტელექტუალურად, ასევე შემოქმედებითი თვალსაზრისით. ახლა, ცხოვრების ყველა სფეროში, თანდათან ხდება ახალ ვიბრაციებზე გადასვლა. გაჩნდება თანასწორობის და სამართლიანობის, ერთიანობის, თანამოაზრეობის, გუნდურობის მოთხოვნილება, სამყაროს რაღაც ნაწილი გადადის უფრო ვირტუალურ სფეროში, იხვეწება ტექნოლოგიები, შემოტანილი იქნება უამრავი ინოვაციური მიდგომა, ახალი ხედვა და ეს შეეხება განურჩევლად ყველა სფეროს – მედიცინიდან, განათლების სისტემიდან დაწყებული ყოფით სფეროებამდე, მოკლედ, წინ – საინტერესო ეტაპი გველის.და როგორც ბოლო თვეებმა დაგვანახა, ცვლილებები უკვე დაწყებულია. ახლა ჯერ გაუგებრობაში, კრიზისში ვართ, მაგრამ ნებისმიერი კრიზისი – ეს რაღაც ახლის დასაწყისია. არ არსებობს სრულიად ნეგატიური, ან სრულიად პოზიტიური მოვლენა. ყველგან უნდა შევძლოთ რესურსის მოძიება, იქაც, სადაც გვგონია, რომ არ შეიძლება იყოს ახლა, რაც შეეხება დედამიწის მეხუთე განზომილებაში გადასვლას ვრცელდება უამრავი ცრუ, შემაშფოთებელი, დამამძიმებელი, თუმცა ბევრიც – ძალიან სასიკეთო და სასარგებლო ინფორმაციაა ადამიანების გამოღვიძებაზე და ნათელი სულის ადამიანებზე ჩვენს გარშემო, რომლებიც ყველანაირად ცდილობენ ხალხის დახმარებას, თუმცა, ამის მიუხედავად, ადამიანებში, მაინც გარკვეული უიმედობა, მომავლის შიშია. საუკუნეების მანძილზე დედამიწის ვიბრაციის სიხშირე შუმანის შკალის მიხედვით იყო 7, 6–7, 8 ჰერცი. 80-იანი წლებიდან დედამიწის მაგნიტური ბადე შეიცვალა და დაიწყო თანდათანობით ზრდა და 2012 წლის 21 დეკემბერს კვანტური ნახტომით დაგვირგვინდა 21 დეკემბრის შემდეგ დედამიწის მაგნიტურმა სიხშირემ კიდევ უფრო დაჩქარებული ტემპით დაიწყო მატება. სიხშირის ზრდა მანამდეც ხდებოდა, თუმცა მკვეთრი ზრდა, სწორედ 2012 წლის 21 დეკემბრიდან დაფიქსირდა, დედამიწა უფრო მაღალ ვიბრაციაზე გადავიდა და მას შემდეგ, ყოველწლიურად იმატებს.




თუ ადამიანის ორგანიზმის უჯრედული ვიბრაცია დედამიწისაზე დაბალი იქნება, ის შეუსაბამო იქნება დედამიწის ახალ ვიბრაციებთან და ძალიან გაუჭირდება ახალ რეალობასთან ადაპტირება. სწორედ ამიტომ გააქტიურდნენ სამყაროს ნათელი ადამიანები ამ პერიოდში, ამიტომ არის ამდენი მოწოდება პოზიტივზე, ერთიანობაზე, უპირობო სიყვარულზე, მიტევებაზე, ვინაიდან, როგორც იცით ყველა ადამიანს, ყველა ემოციას თავისი მაგნიტურ რეზონანსული სიხშირე გააჩნია და მაგნიტური შკალით იზომება, ასე მაგალითად: შიში, სასოწარკვეთა, დეპრესია, შური, მტრობა, სიძულვილი, აგრესია – ეს ძალიან დაბალი ვიბრაციებია, მათი სიხშირე სადღაც 0, 3-3, 9 შორის მერყეობს, მაშინ, როდესაც მიტევება, სიკეთე, სიყვარული, დახმარება, სათნოება, პოზიტივი, რწმენა, მადლიერება – 40-დან 250 ჰერცს აღწევს!

ამიტომ არის აუცილებელი ჩვენი აზროვნების, ფიქრების, ქმედებების შეცვლა და ეს უნდა მოხდეს სასწრაფოდ! ბირთვული ფიზიკოსების მიერ კოვიდის ვიბრაციაც არის შესწავლილი და როგორც აღმოჩნდა, ის მხოლოდ 15 ჰერცია! უფრო მაღალ ვიბრაციებთან შეხებისას, ის უბრალოდ უძლურია, კვდება! დასკვნები, თავად გამოიტანეთ ვიბრაციების ასაწევად შეეცადეთ ბუნებასთან გქონდეთ კონტაქტი, მოუსმინეთ ამაღლებულ მუსიკას, იმღერეთ, იცეკვეთ, დაუკარით, ილოცეთ, ვისაც სურს, შეუძლია თვითშემეცნებას, მედიტაციას დაუთმოს დრო, ყველაზე აუცილებელი და ყველაზე მნიშვნელოვანი კი – მიტევება-მონანიებაა, მათ შორის და უპირველესად საკუთარი თავის, პატიება, მიღება, კეთილგანწყობა ყველას მიმართ, უპირობო სიყვარულის სწავლა. აუცილებელია ჩვენში ნამდვილმა ადამიანურმა ბუნებამ გამოიღვიძოს, ანუ ისეთმა, როგორიც იყო ჩაფიქრებული ადამიანი შემოქმედის მიერ და რაც საუკუნეების მანძილზე დავკარგეთ, ახლა აუცილებელია სწორედ ეს გამოღვიძება, საკუთარი არსის გაცნობიერება, რათა უმტკივნეულოდ შევძლოთ ახალ რეალობაში ახალ სამყაროსთან ადაპტირება, ახალი ხედვის უნარი, სამყაროსთან ერთიანობის განცდა. ადამიანები იღვიძებენ, თავისთავად ხდება მათი ვიბრაციების ამაღლება და სწორედ ესაა წინაპირობა თავის მაცხოვრებლებთან ერთად მთლიანად დედამიწის უფრო მაღალ ვიბრაციაზე გადასასვლელად, სხვაგვარად არ გამოვა!

დააკვირდით ჩვენს ბავშვებს, შვილებს, შვილიშვილებს – ისინი ბევრად ნიჭიერი, სუფთა, ბევრად ადამიანურები, ბევრად ჰუმანურები არიან. ნახეთ როგორ ფაქიზად ეპყრობიან ბუნებას, ცხოველებს, როგორ ზრუნავენ მათზე და მაგალითს გვაძლევენ უფროს თაობებს, როგორ გულით ეხმარებიან უმწეოებს, – უამრავი დახმარების ჯგუფი შეიქმნა ამ ბოლო დროს და ეს გოგო-ბიჭები სრულიად უსასყიდლოდ, მთელი გულით ცდილობენ უცნობი ადამიანების გვერდში ამოდგომას, გამხნევებას, მათი სიცოცხლის გადარჩენას როგორც შეუძლიათ – სწორედ ეს არის ჩვენი, დედამიწის მომავალი!



დასაწყისისთვის თუნდაც მცირედით მაინც მოვახერხებთ ვიბრაციების აწევას, მოხდება ადამიანების მასობრივი გამოღვიძება, სულიერი ამაღლება და სწორედ ამ გამოღვიძებისთვის მოევლინა კაცობრიობას ქრისტე თავისი სწავლებით სამყაროსთვის ყველაზე რთულ და ბნელ "კალი იუგას" პერიოდში მხსნელად, რათა ადამიანები უკვე ხვალინდელი, "სატია იუგასთვის" (ოქროს ხანა) მოემზადებინა, რომ ეს გადასვლა, გამოღვიძება, რაც შეიძლება მეტი ადამიანისთვის ყოფილიყო შესაძლებელი, რათა რაც შეიძლება მეტი ადამიანი დაბრუნებულიყო საკუთარ თავთან, გაეხსენებინა და გაეცნობიერებინა თავისი ჭეშმარიტი დანიშნულება, ღვთაებრივი ბუნება. აღსანიშნავია, რომ თითოეული გაღვიძებული ადამიანი, მისი ამაღლებული ვიბრაცია, მის გვერდით მყოფი ადამიანების ვიბრაციას თავისდაუნებურად ამაღლებს! ჩვენ, ყველანი, ვინც ამ საინტერესო, გარდამავალ პერიოდში დედამიწაზე ამჟამად ვცხოვრობთ, ყველანი ნებაყოფილობით, საკუთარი სურვილით ვართ აქ. სწორედ ამ გამოცდილების მიღებაა, როგორც ჩანს, ჩვენთვის მნიშვნელოვანი და ამიტომაც, ამ დროს, ასეთ ვითარებაში მოვინდომეთ გამოცდილების აღება და სულიერი განვითარების სხვა საფეხურზე გადასვლა. ძალით არავინ გვაკავებს აქ. ყველას აქვს თავისუფალი ნება, რაშიც სამყარო არ ერევა. სხვა საქმეა შევძლებთ კი ამოვხსნათ, რა გამოცდილების ასაღებად ვართ დღეს აქ?! ან რითი შეგვიძლია დავეხმაროთ სამყაროს? ეს უნდა იყოს ალბათ მთავარი კითხვა თითოეული ჩვენგანისთვის. და ბოლოს, დიახ, გარკვეული ცვლილებები მოსალოდნელია მოხდეს მომავალში და შესაძლოა თავიდან ბევრმა ვერც შეძლოს დროული ადაპტირება, შესაძლოა ბევრი რამ სხვაგვარად ჩანდეს, გვაშინებდეს, მაგრამ ცვლილებები არ ნიშნავს მაინც და მაინც ცუდს! წინ გველის უჩვეულო და საოცარი პერიოდი – ახალი ასტროლოგიური ეპოქის დასაწყისი! ეს არის არაჩვეულებრივი შანსი შევცვალოთ ჩვენი ცხოვრება და სამყარო უკეთესობისკენ.

**ქეთევან ზარნაძე**

599 52 60 30

# 5 გენიალური ქალი, რომელთა დიდებას მამაკაცებმა მიისაკუთრეს

დიდებამ რაღაც დროით ამ ნიჭიერ ქალბატონებს გვერდი აუარა, რათა მოგვიანებით კვლავ დაბრუნებულიყო მათთან. თუმცა, ისინი ამაში დამნაშავენი არ ყოფილან, უბრალოდ, ქმრებმა და კოლეგებმა სიტუაციით ისარგებლეს და მათი შრომის ნაყოფი მიისაკუთრეს.

**მარგარეტ კინი**. ამერიკელ მხატვარს, რომელმაც სახელი გაითქვა გასულ საუკუნეში „დიდთვალებიანი“ ნახატებით, რომლებსაც ზეთის საღებავებით ქმნიდა, არავინ იცნობდა. სამაგიეროდ, პოპულარული იყო მისი ქმარი უოლტერი — უძრავი ქონების გაყიდვების აგენტი, რომელიც მალევე მიხვდა, როგორ ესარგებლა საკუთარი ცოლის ნიჭით. რადგანაც ის ოდესღაც პარიზში შეისწავლიდა ხელოვნებას, უოლტერ კინი ყველგან წარადგენდა საკუთარ თავს, როგორც მხატვარ-ნოვატორი. სინამდვილეში კი ის უნიჭო ადამიანი იყო და მხოლოდ ერთი რამ შეეძლო: წარმატებით გაეყიდა ცოლის სურათები და ამით მილიონობით დოლარი ეშოვა. მარგარეტი კი თითქმის არ გამოდიოდა სახელოსნოდან და ქმნიდა თვითმყოფად, ორიგინალურ ტილოებს. მას ზოგჯერ საკუთარი ქალიშვილისთვისაც კი არ რჩებოდა დრო. ხარბ და საკუთარ თავზე შეყვარებულ უოლტერს იმ მომენტისა ეშინოდა, როდესაც ყველა გაიგებდა, რომ სინამდვილეში ყველა ტილოს ავტორი მისი ცოლი იყო. პუბლიკა კი დარწმუნებული იყო, რომ ის „თავისი დროის გენიოსი იყო“ და ხელოვნებაში რაღაც ნატიფი, მოუხელთებელი დაიჭირა, რაც მხოლოდ სურათების ავტორისთვის იყო ხელმისაწვდომი. „ქალთა“ ხელოვნების მიმართ დამოკიდებულების გამო მარგარეტი იძულებული იყო, ქმრის ავტორობით გაეყიდა თავისი ნაწარმოებები. მაგრამ ერთხელ კინმა გადაწყვიტა, ჩრდილიდან გამოსულიყო, რადგან ამ დროისთვის მეუღლე უკვე იმდენად გათავხედდა, რომ აიძულებდა ქალს, უფრო მეტი ემუშავა. ამ მომენტიდან, თანაც, რადგან გაიგო, რომ მარგარეტს მისგან წასვლა და სამართლიანობის აღდგენა სურდა, ქალის ცხოვრება აუტანლად აქცია. უოლტერს ის და ქალიშვილი ჩაკეტილი ჰყავდა, რათა სამყაროს ამ საოცარი სიცრუის შესახებ არ შეეტყო. და მხოლოდ სასამართლომ შეძლო სამართლიანობის აღდგენა 1986 წელს. ჟიურიმ შემოქმედებითი კონკურსი მოაწყო — ერთი საათის განმავლობაში მარგარეტს და უოლტერს უნდა დაეხატათ ფიგურა „დიდი თვალებით“. მარგარეტმა მშვენივრად გაართვა თავი ამოცანას, უოლტერმა კი ვერაფერი დახატა იმ საბაბით, რომ მხრის ტრავმამ არ მისცა საშუალება, შეექმნა რაღაც „გენიალური“. სასამართლომ დაადგინა, რომ მამაკაცი თაღლითი იყო და მარგარეტისთვის მიყენებული ზარალის — 4 მლნ დოლარის ანაზღაურება დააკისრა. იმ დროისთვის უოლტერს უკვე დახარჯული ჰქონდა მთელი ფული. ის, რა თქმა უნდა, ცდილობდა, ცოლისთვის ეჩივლა, მაგრამ ვინ დაუჯერებდა ხელოვნების ქურდს?



მარგარეტ კინი

**სიდონი კოლეტი**. ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი და სკანდალური ფრანგი მწერალი ქალი სიდონი კოლეტი, რომლის პირველმა რომანმა — „კლოდინა სკოლაში“ — საზოგადოებაში აღტაცება და აღფრთოვანება გამოიწვია, ქმრის მხრიდან უსინდისო მოტყუების მსხვერპლი გახდა. პროვინციელმა ჟურნალისტმა, მექალთანემ და საშუალო დონის მწერალმა სიდონის ოთხი რომანი გამოსცა თავისი ფსევდონიმით. ვიდრე კოლეტი სახლიდან გაუსვლელად საკუთარ ნაწარმოებებზე მუშაობდა, რომლებიც ნატიფი სასიყვარულო ლორიკით იყო განმსჭვალული, მისი ქმარი წარმატებული გაყიდვებით მიღებულ ფულებს იჯიბავდა. იმ დროისთვის სიდონი კოლეტის მთავარი გმირის, კლოდინის სახელს უკვე არქმევდნენ ტორტებს, ნაყინს, სუნამოსა და შლაპებსაც კი. და ყველა სულმოუთქმელად ელოდა ახალი წიგნების გამოსვლას. გოტიეს აფიორა მალევე გამჟღავნდა, სიდონის გამოჩენამ მოდურ საღამოზე კი პატივსაცემ სტუმრებს შორის ნამდვილი ფურორი მოახდინა. და როგორც შედეგი — სხვისი დიდება, რომელიც რაღაც დროის განმავლობაში ანრი გოტიეს ერგო, ნამდვილ ნიჭიერებასთან დაბრუნდა, რომელსაც სიდონი კოლეტი ფლობდა. ფრანგებისთვის ის დღესაც გასული საუკუნის უდიდესი ქალია. სიდონი წარმატებით გამოდიოდა თეატრალუირ სცენაზე, დაწერა ოპერა-ბალეტის „ჯადოქრობა და ყრმა“ ლიბრეტო და ჟურნალისტიკაშიც მოსინჯა კალამი. პირველი მსოფლიო ომის დროს სიდონი კოლეტი სამხედრო კორესპონდენტად მუშაობდა და ლაზარეთში დაჭრილებს ეხმარებოდა. ფრანგული სიტყვიერების კლასიკოსი, გონკურის აკადემიის პრეზიდენტი, საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი — ის მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში შევიდა, როგორც თვითმყოფადი მწერალი, რომელსაც განუმეორებელი სტილი ჰქონდა.



სიდონი კოლეტი

**ლიზა მეიტნერი**. მსოფლიო მეცნიერებაში ის უკანა კარიდან შევიდა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით: ცნობილ მეცნიერთან მაქს პლანკთან სწავლა ითვალისწინებდა, რომ ლექციებს ის მხოლოდ მამაკაცებს უკითხავდა. ამიტომ ლიზა მეიტნერს უფლება არ ჰქონდა, უნივერსიტეტში წინა კარიდან შესულიყო. მანამდე კი, 1906 წელს, ლიზამ ვენაში სადოქტორო დისერტაცია დაიცვა და ოცნებობდა, პარიზში გამოჩენილ მარი კიურისთან ემუშავა. მაგრამ უცნობი მიზეზის გამო მან უარი უთხრა ლიზას. ოტო განთან ნაცნობობამ, რომელიც პლანკის მოწაფე იყო, საფუძველი დაუდო მრავალწლიან სამეცნიერო თანამშრომლობას, რომელიც ბრწყინვალე აღმოჩენებით დაგვირგვინდა. სამი წლის შემდეგ ლიზა მეიტნერმა დაწერა ორი სტატია ბეტა-გამოსხივების შესახებ, რომელთა საშუალებითაც ის მსოფლიო დონის ფიზიკოსების გვერდით აღმოჩნდა. შემდეგ ის რადიოქიმიის განყოფილებაში გადავიდა. ოტო განთან თანამშრომლობა გრანდიოზული წარმატებით აღინიშნა: ბირთვული გაყოფის აღმოჩენა წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. თუმცა ნობელის პრემია ქიმიაში მხოლოდ ოტომ მიიღო. ამას გავლენა არ მოუხდენია იმაზე, რომ სამეცნიერო სამყარომ ლიზა გასული საუკუნის ერთ-ერთ უნიჭიერეს ქალად აღიარა და მენდელეევის სისტემაში ერთ-ერთ ელემენტს მის პატივსაცემად მეიტნერი უწოდეს.



ლიზა მეიტნერი



ესტერ ლედერბერგი

**ესთერ ლედერბერგი**. ესთერ ლედერბერგი იმდენად იყო გატაცებული მეცნიერებით, რომ ვერაფრით წარმოიდგენდა ქმრის ღალატს, რომელიც ასევე ცნობილი მეცნიერი იყო. მეუღლეების ტიტანური შრომა აქამდე უცნობ დარგში — ბაქტერიულ გენეტიკაში, ნამდვილად რევოლუციური აღმოჩენით დასრულდა. მრავალწლიანი გამოკვლევების შედეგად აღმოაჩინეს ბაქტერიების მიერ ერთმანეთისთვის გენების გადაცემის მექანიზმი. უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო ძიებებში ესთერი წინ უსწრებდა ქმარს — ჯოშუა ლედერბერგს. თუმცა 1958 წელს სწორედ მამაკაცმა მიიღო ნობელის პრემია. ძნელი სათქმელია, რითი ხელმძღვანელობდა მეცნიერი პრესტიჟული ჯილდოს მიღებისას, მაგრამ მას სიტყვაც არ უთქვამს საკუთარი ცოლის შესახებ, რომელიც ამ დიდი აღმოჩენისთვის ერთგულად შრომობდა მასთან ერთად. ჯოშუამ თითქოს დაავიწყდა ცოლი და განაგრძობდა დიდებით ტკბობას. რა თქმა უნდა, ამ სიტუაციამ მეუღლეების ურთიერთობაზე გავლენა მოახდინა და ისინი დაშორდნენ. განქორწინების შემდეგ ესთერმა დაამტკიცა, რომ ის ყველაზე მაღალი ჯილდოს ღირსია. მან წარმატებით განაგრძო სამეცნიერო კვლევები ბაქტერიული გენეტიკის მიმართულებით. ამ ქალბატონის სახელი მსოფლიო მეცნიერების ისტორიაში მაინც დარჩა.

**ჯოსელინ ბელ ბერნელი**. ჯოსელინ ბელ ბერნელმა ნამდვილი რევოლუცია მოაწყო ასტროფიზიკაში: მან პირველმა შენიშნა ციური სხეულების უცნაური მოძრაობა, რომლებსაც მოგვიანებით პულსარები დაარქვეს. მეცნიერებით გატაცებული და მისი ფანატიკურად ერთგული ჯოსელინი არც კი ეჭვობდა, რომ მისი გამოგონებით შვიდი წლის შემდეგ ისარგებლებენ კოლეგები — მეცნიერები ენტონი ჰიუიცი და მარტინ რაილი. მათ ნობელის პრემია მიიღეს ფიზიკაში, ჯოსელინის სახელი კი არც კი უხსენებიათ. და მხოლოდ ნახევარი საუკუნის შემდეგ აღდგა სამართლიანობა — ჯოსელინ ბელ ბერნელს გადაეცა სპეციალური პრემია ფუნდამენტური ფიზიკის დარგში და სოლიდური ანაზღაურებაც მიიღო საკუთარი შრომებისთვის — 3 მლნ დოლარი. აღნიშნული პრემია მხოლოდ სამჯერ გაიცა მეცნიერების ისტორიის მანძილზე. ჯოსელინმა მთელი ფული ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალებისთვის სტიპენდიების გაცემაზე დახარჯა. ჯოსელინმა თავისი კეთილშობილური საქციელი იმით ახსნა, რომ სწორედ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები ვერ ახერხებენ საკუთარი ნიჭის სრულად გამოვლენას, რადგან მატერიალურ სირთულეებსა და ცნობილი კოლეგების შურს აწყდებიან.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

# მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების საახალწლო პერსონაჟები


ხიზირ-ილიასი

**ახალი წელი ჩვენთვის წარმოუდგენელია თოვლის პაპის თუ ბაბუის, ინგლისურენოვანი ქვეყნები — სანტა კლაუსის და მისი ირმის რუდოლფის, ფინეთი კი იოლიპუკის გარეშე. სხვა ქვეყნებში საახალწლო საჩუქრები სხვა საახალწლო პერსონაჟებს მოაქვთ პატარებისთვის და... დიდებისთვისაც...**

### ბაბუა მიკულაში და ბაბუა ეჟიჩეკი

ყველაზე ადრე საშობაო საჩუქრებს ჩეხი და სლოვაკი ბავშვები იღებენ. ბაბუა მიკულაში სტუმრად 5 დეკემბრის ღამეს მოდის, წმ. ნიკოლოზის დღის გათენებამდე. ცნობილია, რომ მას გრძელი, წითელი მოსასხამი აცვია, თავზე მაღალი ქუდი ახურავს და ხელში კვერთხი უჭირავს, ხოლო საჩუქრებით სავსე ტომრის ნაცვლად ზურგზე ყუთი აქვს მოკიდებული. ითვლება, რომ ამ კეთილ ჯადოქარს მოგზაურობაში თან ახლავს ფრთათეთრი ანგელოზი და გაბურძგნილი ეშმაკი. ისინი კარნახობენ მოხუცს, რომელი ბავშვი იქცეოდა კარგად და ვინ დაიმსახურა საჩუქარი. პატარებმა კარგად იციან, რომ თუ წმინდა მიკულაშს სიმღერას


მიკულაში

უმღერებენ ან ლექსს ეტყვიან, კეთილი მოხუცი მათ საჩუქარს მაინც მიუტანს, მიუხედავად იმისა, რომ ცუდად იქცეოდნენ.

მეორე თოვლის ბაბუაა ეჟიჩეკი, რომელიც სტუმრად 25 დეკემბერს მიდის. მის შესახებ არაფერია ცნობილი, რადგან არავის უნახავს. ერთი ლეგენდის თანახმად, იგი მიკულაშის ძმაა. ეჟიჩეკი ცდილობს, რომ ვერავინ დაინახოს, როცა საჩუქრებს ტოვებს. მხოლოდ ზანზალაკების ხმა ამცნობს ადამიანებს მის მობრძანებას.

### ბაბო ნატალე და ფერია ბეფანა

იტალიაში, ისევე, როგორც ევროპის ბევრ ქვეყანაში, ორი თოვლის ბაბუაა, რომელთაგან ერთი შობაზე მობრძანდება, მეორე კი — 6 იანვარს. ახალ წელს იტალიაში დიდი ზარ-ზეიმით არ აღნიშნავენ, არც საჩუქრებს ჩუქნიან, მიღებულია სტუმრად სუფთა წყლის მიტანა.

იტალიელ თოვლის ბაბუას ბაბო ნატალე ჰქვია, რაც საშობაო მამას ნიშნავს. მისი წარმოშობის შესახებ ორი ლეგენდა არსებობს. ერთის მიხედვით, ის წმიდა ნიკოლოზთან არის დაკავშირებული, რომელიც ჩვ.წ. აღ-მდე III ს-ში ცხოვრობდა.

მეორე ვერსიის თანახმად, საშობაო ზღაპრული ჯადოქარი ამერიკელებისგან არის ნასესხები. იგი მართლაც ცოტათი თუ განსხვავდება სანტა კლაუსისგან – ისიც ჩასუქებული ასაკოვანი მამაკაცია, რომელსაც თეთრი ბეწვით გაწყობილი წითელი სამოსი აცვია, აქვს ჭაღარა წვერი და ზოგჯერ სათვალესაც ატარებს. ბაბო ნატალეც სანტა კლაუსის მსგავსად ჰაერში მოგზაურობს მარხილით, რომელშიც ირმებია შებმული და სახლებში საკვამურიდან ჩადის.

იტალიელი თოვლის ბაბუა მხოლოდ იმ ბავშვებთან მიდის, ვინც წინასწარ დაუწერა მას წერილი საკუთარი სურვილის შესახებ – ამისათვის ქუჩებსა და მაღაზიებში სპეციალურ საფოსტო ყუთებს დგამენ წერილებისთვის.

6 იანვარს კი ბავშვები სტუმრად ფერია ბეფანას ელიან. იგი გამოსახულია, როგორც ცოცხზე გადამჯდარი მოხუცი ქალი მოკაუჭებული ცხვირითა და დიდი კბილებით. ზურგზე მას საჩუქრებით სავსე ტომარა აქვს მოკიდებული. ლეგენდის მიხედვით, იგი სახლში საკვამურიდან შედის. სხვა გადმოცემის თანახმად კი, მას პატარა ოქროს გასაღები აქვს, რომლითაც ყველა კარის გაღება შეუძლია.

### მელქიორი, ბალთასარი, გასპარი და ოლენცერო

ესპანელ ბავშვებთან სტუმრად ახალ წელს თოვლის ბაბუის ნაცვლად სამი მეფე მოდის, რომლებსაც ჩვენ მოგვებს ვუწოდებთ – ბიბლიაში აღწერილი სამი ყველაზე უძველესი პერსონაჟი.

6 იანვარს, სამი მეფის დღის წინა საღამოს მთელ ესპანეთში სადღესასწაულო სვლა იმართება, რომლის დასასრულსაც სამივე მეფე (მელქიორი, ბალთასარი და გასპარი) ამბობს, რომ საჩუქარს ყველა ბავშვი მიიღებს. ამის შემდეგ მიათთვის განკუთვნილ ტახტზე სხდებიან, რომლებიც ქალაქის ცენტრშია განთავსებული და ყველა ბავშვს საჩუქარს ჩუქნიან.

ამ დროს, ბასკეთში, ნავარას პროვინციაში დამჯერ ბავშვებს საჩუქრებს ადგილობრივი თოვლის ბაბუა ოლენცერო ჩუქნის. ერთი ლეგენდის მიხედვით, ის გოლიათების შთამომავალია და მან პირველმა ამცნო ადამიანებს იესოს დაბადება.

მეორე ლეგენდის მიხედვით კი ოლენცერო ფერიამ იპოვა და მოხუც წყვილს მიუყვანა. მშობლების გარდაცვალების შემდეგ მან ბავშვებისთვის სათამაშოების კეთება დაიწყო, რათა გაეხარებინა ისინი. იგი ხანძრის დროს დაიღუპა, როდესაც ბავშვები გამოჰყავდა ცეცხლიდან და ფერიამ მას მერე სიცოცხლე აჩუქა. ამ შავწვერა კეთილ მსუქანას გემრიელი საჭმელები უყვარს და არასოდეს ამბობს უარს ჭიქა ღვინოზე.

### იოლასვეინარები

ისლანდიელი იოლასვეინარებს არაფერი აქვთ საერთო თოვლის პაპასთან და სანტა კლაუსთან. ლეგენდის მიხედვით, გოლიათ გრილასა და უსაქმურ ლეპალუდის 13 ვაჟიშვილი გაუჩნდათ, რაც საშობაო ძმებს ან საშობაო ბიჭებს ნიშნავს.

ლეგენდის მიხედვით, დედილო გრილის ვაჟების შობამდე, 12 დეკემბერს გაჩნდნენ და ყველაფერს აფუჭებდნენ, აურზაურს აწყობდნენ, ყირაზე გადადიოდნენ და ზოგჯერ ბავშვებსაც იტაცებდნენ. მათი შიშით ყველა ისლანდიელი ბავშვი კარგად იქცეოდა.

დროთა განმავლობაში იოლასვენიარების გარეგნობა შეიცვალა და ახლა ეს კეთილი გნომები დამჯერ ბავშვებს ფეხსაცმელებში ერთს კი არა, ცამეტ საჩუქარს უტოვებენ, ურჩი ბავშვები კი საჩუქრად კარტოფილს ან კენჭს იღებენ.

### საგაცუ-სანი და ოძი-სანი

იაპონიაში ახალ წელს გრიგორიანული კალენდრით აღნიშნავენ, რომელიც ამომავალი მზის ქვეყანაში 1873 წელს მიიღეს, თუმცა ტრადიციულად, იაპონური ახალი წელი ჩინურს ემთხვევა და 21 იანვრიდან 21 თებერვლის პერიოდს მოიცავს. იაპონელებს ახალი წლის მოსვლას ზარის 108 დარეკვა ამცნობს.

საგაცუ-სანს ან ბატონ ახალ წელს მწვანე ან ცისფერი კიმონო აცვია. ლეგენდის თანახმად, იგი საკუთარ სახლს ტოვებს ქალაქ შიოგამაში, კუნძულ ჰონსიუზე და იაპონიაში მოგზაურობას იწყებს. საგაცუ-სანი საჩუქრებს არ ჩუქნის, იგი უბრალოდ ყველას ულოცავს ახალ წელს.

იაპონელების რწმენით, 31 დეკემბერსა და 1 იანვარს იაპონიის მცხოვრებლებს ბედნიერების შვიდი ღმერთი სტუმრობს, რომლებიც აქ ჯადოსნური ხომალდით მოდიან.

მეორე თოვლის ბაბუა, ოძი-სანი, შედარებით „ახალგაზრდაა“. იგი სანტა კლაუსის იაპონური ვარიანტია. ოძი-სანი ზღვით მოგზაურობს და კუნძულების ყველა მცხოვრებისთვის მოაქვს საჩუქრები. პატარა იაპონელები სწორედ ოძი-სანს წერენ წერილებს თავიანთი სურვილების შესახებ.

### ხიზირ-ილიასი

მუსულმანურ ქვეყნებში ერთდროულად ორ ახალ წელს აღნიშნავენ. პირველი აღინიშნება მუხარამის პირველ დღეს, მაგრამ, რადგან ისლამურ ქვეყნებში მთვარის კალენდარს იყენებენ, დღესასწაული 11 დღით წინ გადადის. მეორეს ჰედერლეზი ჰქვია და მესაქონლეობის ახალი წლის სიმბოლოა (აღინიშნება გრიგორიანული კალენდრით 6 მაისს). თოვლის ბაბუას აქ ხიზირ ილიასი ჰქვია და კეთილი და მორწმუნე ადამიანების სახლებში მიდის მაისის დასაწყისში. ჩვეულებრივად მას გამოსახავენ, როგორც ჭაღარაწვერიან მოხუცს, მწვანე მოქარგული ხალათით შემოსილს, თავზე წითელი ტურბანით და საჩუქრებით სავსე ტომრით.

სინამდვილეში ხიზირი და ილიასი ორი წინასწარმეტყველია. თათრული თქმულების მიხედვით, ხიზირმა უკვდავების წყალი დალია და უკვდავება მოიპოვა. იგი დედამიწაზე მოგზაურობს და გაჭირვებულებს ეხმარება, ხოლო ხარბ ადამიანებს კი სჯის.

სხვა ლეგენდის მიხედვით კი ხიზირი და ილიასი ძმები არიან, რომლებიც წელიწადში მხოლოდ ერთხელ ხვდებიან, რათა დედამიწაზე გაზაფხული დააბრუნონ.

ბელა გველესიანი
568 90 81 22



საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

გაზეთის გავრცელების სამსახური: 599 58-72-50. ბესო ცარციძე (მენეჯერი).

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99

ISSN 2233-3983
9 772233 398001